


ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №7. სექტემბერი. 2013.

# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახალ სასწავლო წელს სიახლეებით ხვდება



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავისი არსებობის მანძილზე კიდევ ერთ ახალ სასწავლო წელს ხვდება, დღევანდელი პირველკურსელები ღირსეულ ცვლად უნდა იქცეს იმ კურსდამთავრებულებისა, რომლებმაც უკვე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სახელი გაუთქვეს მშობლიურ უნივერსიტეტს. ეს დღე დღესასწაულია თითოეული სტუდენტისათვის, თითოეული პედაგოგისა და უნივერსიტეტის თითოეული თანამშრომლისათვის, რადგან ახალი სასწავლო წლის დაწყება ცოდნისა და ახალთან ზიარების ზეიმია. სასიხარულოა, რომ წელს უნივერსიტეტმა ყველა სპეციალობა (გარდა ფიზიკა ასტრონომიისა) სრულად დააკომპლექტა, რაც მისი წარმატებულობის კიდევ ერთი დადასტურებაა.

მიმდინარე სასწავლო წელს ჩვენი უნივერსიტეტი განახლებული აკადემიური პერსონალით ხვდება. ჯერ კიდევ 2012-2013 სასწავლო წლის დასაწყისში შემუშავდა კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის პროექტი, რომელიც განთავსდა ვებ-გვერდზე. თითოეულ თანამშრომელს ჰქონდა საშუალება გასცნობოდა მას და საბოლოო სახით ფორმირებაში მიეღო მონაწილეობა. წინა წლებისაგან განსხვავებით, მთავარ ცვლილებას წარმოადგენდა კონკურსის მეორე ეტაპი, რაც კონკურსანტთან გასაუბრებას გულისხმობდა. კომისიას ჰქონდა აგრეთვე უფლება საჭიროების შემთხვევაში მოეთხოვა საჯარო ლექციის ჩატარებაც. მინდა აღვნიშნო, რომ საკონკურსო კომისიები დაკომპლექტდა მიმართულებების მიხედვით, რომლებმაც მნიშვნელოვანი სამუშაო გასწიეს და შესაბამისი დასკვნები დადეს.

რაც შეეხება კონკურსის შედეგებს, იგი რეალურად ასახავს ჩვენს უნივერსიტეტში არსებულ ვითარებას. მართალია კონკურსანტების მხრიდან გამოითქვა უკმაყოფილებაც, მაგრამ ეს კონკურსია, რომელიც თავის თავში შეჯიბრებითობასაც გულისხმობს. დაისვა კითხვებიც, რომლებზეც საკონკურსო კომისიამ ჩემი აზრით, ადექვატური პასუხებიც გასცა. კონკურსის შედეგების მთავარი მარკერი კი სასწავლო პროცესის ღირსეულად წარმართვა იქნება.

ახალ სასწავლო წელს უნივერსიტეტი განახლებული ინფრასტრუქტურით ხვდება. აუდიტორიებში გამოიცვალა ავეჯი, ბიბლიოთეკა განახლდა ახალი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურით, ვებ-გვერდზე აიტვირთება სალექციო კურსებისა და რიდერების ელექტრონული ვერსიები, რომელთა გამოყენებაც შეეძლება თითოეულ სტუდენტს და რაც სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მთავარი საფუძველი გახლავთ.

მნიშვნელოვანი სიახლე გახლავთ ისიც, რომ უნივერსიტეტში განხორციელდება რეორგანიზაცია, რომლის შედეგად განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის ნაცვლად ჩამოყალიბდება ოთხი დამოუკიდებელი ფაკულტეტი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, განათლების, ფიზიკა-მათემატიკის და კომპიუტერებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის. გარდა ამისა, ჩამოყალიბდა ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს უცხოური ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლებას საუნივერსიტეტო მასშტაბით. ცენტრში შესაძლებელი იქნება ნებისმიერი ენის შესწავლა დონეების გათვალისწინებით არამარტო სტუდენტებისათვის, არამედ ნებისმიერი მსურველისთვისაც.

სიახლე გახლავთ ისიც, რომ უნივერსიტეტში დამონტაჟდა და ახალი სასწავლო წლიდან ამოქმედდება ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიები, სადაც სამივე საფეხურის სტუდენტებს შეეძლებათ ლაბორატორიული სამუშაოებისა და კვლევების ჩატარება. იგეგმება ბიოლოგიის ლაბორატორიის გამართვაც. ყოველივე ეს მნიშვნელოვანად გააუმჯობესებს სწავლების ხარისხს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის მიმართულებით.

წელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისა და აგრეთვე აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სტუდენტთა მიზნობრივი დახმარების პროგრამას ახორციელებს, რაც გულისხმობს გარკვეული კატეგორიის სტუდენტთა ხელშეწყობას სწავლის საფასურის გადახდაში. თავის მხრივ უნივერსიტეტში მოქმედი დახმარების ფონდებიც გააგრძელებენ თავიანთ საქმიანობას, ყველაფერი ეს კი კიდევ ერთი სტიმული გახდება სწავლის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

გაგრძელდება ინტეგრირების პროცესი საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში მონაწილეობა, რაც გულისხმობს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მობილობას უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტში, საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობას, რაც ჩვენი უნივერსიტეტის საერთაშორისო სივრცეში ინტეგრირებას შეუწყობს ხელს. ამის ნათელი მაგალითი გახლავთ ის, რომ ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტები გაცვლითი პროგრამით გერმანიაში იმყოფებიან.

ჩვენმა უნივერსიტეტმა უმასპინძლა ტრადიციად ქცეულ ქართველოლოგიისა და ქართულ-ჩერქეზულ საზაფხულო სკოლებს. ჩატარდა დოქტორანტთა ქართულ-გერმანული კონფერენცია, რომლის ფარგლებშიც დაიგეგმა ახალი ერთობლივი პროექტების განხორციელებაც.

უნივერსიტეტი ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც მუდმივ განახლებას, სწავლებაში სიახლეების დანერგვას მოითხოვს. 2013-2014 სასწავლო წლისათვის განსაკუთრებული აქცენტები სწავლისა და სწავლების ხარისხზე გაკეთდება. გაიზრდება მოთხოვნები, როგორც სტუდენტების, ასევე პროფესორ-მასწავლებლების მიმართ. სწავლების ხარისხის ამაღლებასთან ერთად მიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ორგანიზების, სტუდენტთა მომსახურებისა და ადმინისტრირების გაუმჯობესება, რაზეც მუდმივად ზრუნავს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.

უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანია სტუდენტის თავისუფალი დროის რაციონალუად და სწორად გამოყენება, ამიტომაც აქტიურად იმუშავებენ ჩვენთან მოქმედი კულტურული და სპორტული წრეები.

ჩვენ ძალიან დიდი გეგმები გვაქვს და გვაქვს ამბიცია შევინარჩუნოთ და გავაძლიეროთ ჩვენი უნივერსიტეტის სტატუსი არა მარტო ქართულ, არამედ საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. ამის მიღწევა კი თითოეული ჩვენგანის თავდაუზოგავი შრომით შეიძლება. მხოლოდ სტუდენტებთან თანამშრომლობით შევძლებთ დავძლიოთ ახალი გამოწვევები და შევინარჩუნოთ დღემდე მოტანილი ღირსება.

დასასრულ მინდა თითოეულ პირველკურსელს მივულოცო სტუდენტობა და ვუთხრა, რომ მათ ახალი, საინტერესო ცხოვრება ელით, რომელიც გარჯასა და გულმოდგინებას მოითხოვს მათგან. აქ გატარებული წლები კი, დარწმუნებული ვარ, იქცევა მათი მომავალი წარმატებული ცხოვრების საძირკვლად.

**ალიოშა ბაკურიძე,**
**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი**

# ქართველოლოგიის მეორე საზაფხულო სკოლა „კორპუსის ლინგვისტიკა და ქართველოლოგიის პრობლემები"



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფრანკფურტის ლინგვისტური წრისა და ფრანკფურტის იოჰან ვოლფგანგ გოეთეს უნივერსიტეტის ორგანიზებით ქართველოლოგიის მეორე საზაფხულო სკოლა „კორპუსის ლინგვისტიკა და ქართველოლოგიის პრობლემები" გაიხსნა. რვადღიანი საზაფხულო სკოლა ორი მიმართულებით იმუშავებს: „ქართული ენის ეროვნული კორპუსი - პროცესი და პროდუქტი" და „ქართველოლოგიის სპეციალური პრობლემები კორპუსთან მიმართებაში - უარყოფა, მოდალობა, ევიდენციალობა". საზაფხულო სკოლა მიზანად ისახვს ქართული ენის ეროვნული კორპუსის შექმნის პროცესისა და გამოყენების გაცნობასა და დანერგვას, როგორც ტექნოლოგიური ისე ლინგვისტური პერსპექტივებიდან გამომდინარე. ქართველი და გერმანელი პროფესორ-მასწავლებლები საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების 60-მდე სტუდენტს თეორიულ კურსებთან ერთად მონაცემთა ბაზების გამოყენების პრაქტიკულ ჩვევებს გააცნობენ. პროგრამის ფარგლებში ცნობილი მეცნიერები იოსტ გიბერტი (ფრანკფურტი) და პაულ მორერი (ბერგენი) კორპუსის ლინგვისტიკაში ვორკშოფს ჩაატარებენ. მონაწილეებს ფრანკფურტის უნივერსიტეტის საერთაშორისო სერტიფიკატი გადაეცემათ.

# უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზს აგვისტოს ომში დაღუპული გმირის ამირან მამალაძის სახელი მიენიჭა






ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ აგვისტოს ომში დაღუპული გმირის უკვდავსაყოფად უნივერსიტეტის მცირე სპორტულ დარბაზს სტუდენტ ამირან მამალაძის სახელი მიანიჭა. ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის მფლობელი კაპრალი 9 აგვისტოს საცეცხლე ზონაში დაჭრილი მეთაურის გამოსაყვანად დაბრუნდა. ის ერთადერთი სტუდენტი იყო აჭარიდან, ვინც 2008 წლის აგვისტოში, რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა გმირის საფლავი ყვავილებით შეამკეს და ამირან მამალაძის ოჯახს „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მცირე სპორტული დარბაზისთვის ბსუ-ს სტუდენტ ამირან მამალაძის სახელის მინიჭების" შესახებ სერტიფიკატი გადასცეს.

# ტემპუსის პროექტების ანგარიშის წარდგინება

European Commission
TEMPUS

ტემპუსის პროექტების წევრებმა უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ალიოშა ბაკურიძეს და რექტორის მოადგილეს სამეცნიერო დარგში ნათია წიკლაშვილს "სამაგისტრო პროგრამა - უმაღლესი განათლების რეფორმის ლიდერების მომზადება" - „ MAHATMA" და „უნივერსიტეტის მართვის ინტეგრირებული სისტემები" -„ INURE" მიმდინარეობის შესახებ ანგარიშები წარუდგინეს. პროექტში „MAHATMA" ჩართულია სამი ევროპული უნივერსიტეტი და ორი პროფესიული განვითარების ცენტრი, ასევე ოთხი უმაღლესი სასწავლებელი საქართველოდან და ოთხი სომხეთიდან. პროექტი ითვალისწინებს უმაღლესი განათლების ადმინისტრირებაში სამაგისტრო პროგრამის შემუშავებას, მის დანერგვასა და სტუდენტების გაცვლას პარტნიორ დაწესებულებებში. პროექტის ფარგლებში გაიმართა ერთკვირიანი ტრენინგები საფრანგეთში (ქ. სევრი) და იტალიაში (ქ. პალერმო). ტრენინგებს ესწრებოდნენ პროექტის წევრები: ასოც. პროფ. ლელა თურმანიძე (პროექტის კოორდინატორი), პროფესორები: ლელა თავდგირიძე, გული შერვაშიძე, ასისტენტ პროფესორი ნანა მაზმიშვილი და მასწავლებელი ნინო მიქელაძე. ევროპელი, ქართველი და სომეხი პარტნიორები პროგრამით გათვალისწინებული საერთო სწავლის შედეგებზე შეთანხმდნენ.

ამჟამად ბსუ-ს ჯგუფი სამაგისტრო პროგრამის ზოგიერთი მოდულის პილოტირებაზე მუშაობს, ხოლო პროექტის „INURE" გუნდი ევროპული გამოცდილების გაზიარებით უნივერსიტეტის მართვის ინტეგრირებული სისტემის შექმნაზე. პროექტის წევრებმა ასოცირებულმა პროფესორმა, გულადი ფარტენაძემ და ასისტენტ პროფესორმა, გრიგოლ კახიანმა გერმანიაში ჩატარებული ორკვირიანი ტრენინგების შედეგები და უახლოესი გეგმა წარმოადგინეს.

# ტურიზმის ფაკულტეტის 12 სტუდენტი სტაჟირებას მიუნხენში გაივლის



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტმა შვერინის ბალტიკის კოლეჯთან მემორანდუმი გააფორმა. ხელშეკრულების ფარგლებში ტურიზმის ფაკულტეტის 12 სტუდენტი სასტუმროების და სარესტორნო მენეჯმენტის სამთვიან პრაქტიკულ კურსს მიუნხენში გაივლის. ახალგაზრდები უცხო ენის ცოდნის, აკადემიური მოსწრებისა და სამუშაო გამოცდილების საფუძველზე შეირჩნენ. ხელშეკრულება მიზნად ისახავს ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო პროექტების განხორციელებას, პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების გაცვლითი პროგრამების ამოქმედებას. დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და სემინარების ჩატარებას, გამოცდილების გაზიარებასა და პარტნიორი უნივერსიტეტის ბაზაზე სტუდენტების პრაქტიკის გავლას. ტურიზმის ფაკულტეტის 12 სტუდენტი გერმანიაში 15 აგვისტოს გაემგზავრება.

# შეხვედრა პროექტ „MEMORYROW"-ის წარმომადგენლებთან

უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე ირაკლი ბარამიძე და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ედიშერ ჩავლეიშვილი ევროკავშირის პროექტ „MEMORYROW"-ის კოორდინატორს, გრაცის უნივერსიტეტის პროფესორ კარლ კასერს, პროექტის ქართველ, ავსტრიელ, ბულგარელ, ბერძენ, რუს და მაკედონელ წარმომადგენლებს შეხვდნენ. საერთაშორისო პროექტის მონაწილეებმა ბოლო ორი წლის განმავლობაში წარმოებული კვლევა-ძიების შედეგები შეაფასეს და სამომავლო ორწლიანი გეგმა განიხილეს. ასევე ისაუბრეს პროექტში ჩართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების აუცილებლობაზე. შეხვედრაზე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ჩრდილოეთ კავკასიის უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულება წარმოადგინეს პროფესორებმა: ტატიანა ნევსკაიამ, ალია კონდრაშევამ და ტატიანა კორჩაგინამ. მემორანდუმი გაფორმებულია აგრეთვე ბლაგოევგრადის სამხრეთ-დასავლეთის ნეოფიტ რილსკის უნივერსიტეტთან.



# ერთობლივი პროექტის „ნორვეგიაში, საქართველოსა და ყირგიზეთში ტურიზმის მდგრადი განვითარებისა და ინოვაციების სფეროში განათლება" მეორე ეტაპი დაიწყო



ტურიზმის ფაკულტეტმა ერთობლივი პროექტის „ნორვეგიაში, საქართველოსა და ყირგიზეთში ტურიზმის მდგრადი განვითარებისა და ინოვაციების სფეროში განათლება" განხორციელების მეორე ეტაპი დაიწყო. კონკურსში მონაწილეობა 45 სტუდენტმა მიიღო. პირველი ეტაპის გამარჯვებულ 10 მონაწილეს ტელემარკის უნივერსიტეტის პროფესორებმა თემურ აბესაძემ და ფრუდე ლიენგიმ ტრენინგები ჩაუტარეს და 4 საუკეთესო კონკურსანტი შეარჩიეს. ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტები: სოფო ფოფხაძე, ავთანდილ საგინაძე და ერეკლე ჩიკვაიძე ნორვეგიის ტელემარკის უნივერსიტეტში „ტურიზმის მენეჯმენტის" ერთწლიან, ხოლო გურანდა ბაგრატიონი ეკოლოგიის მიმართულებით მაგისტრატურის ორწლიან პროგრამას გაივლიან. უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ალიოშა ბაკურიძე, ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი, როსტომ ბერიძე და ტელემარკის უნივერსიტეტის პროფესორი თემურ აბესაძე პროექტში მონაწილე სტუდენტებს შეხვდნენ და წარმატებები უსურვეს. შეხვედრაზე ტელემარკის უნივერსიტეტიდან დაბრუნებულ ახალგაზრდებს, რომლებმაც ნორვეგიაში ერთწლიანი სასწავლო პროგრამა გაიარეს სერტიფიკატები გადაეცათ.

# საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „ევროპული სამართალი სამხრეთ კავკასიაში"



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გრაცის (ავსტრია) უნივერსიტეტის ერთობლივი საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „ევროპული სამართალი სამხრეთ კავკასიაში" (EULISC) გაიხსნა. ერთკვირიან საზაფხულო სკოლაში სამართლის, პოლიტიკურ მეცნიერებათა და საერთაშორისო ურთიერთობათა მიმართულების ქართველი, ავსტრიელი, სომეხი, რუსი, ბელორუსი, აზერბაიჯანელი ბაკალავრები და მაგისტრანტები მონაწილეობენ. საერთაშორისო საზაფხულო სკოლის მიზანია განიხილოს ევროპული კანონის შესაბამისობა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების სამართლებრივ და პოლიტიკურ გარემოსთან. სტუდენტებს მოხსენებებს წაუკითხავენ ბათუმის, გრაცის, ერევნისა და ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლები. ევროპელი და ადგილობრივი ექსპერტები ერთობლივად წარმოადგენენ ევროკავშირის სტრატეგიის ისეთ ასპექტებს რეგიონთან მიმართებაში, როგორიცაა: დემოკრატიის გაძლიერების ხელშეწყობა, მხარდაჭერა კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების საკითხებში და ა.შ. ყურადღება გამახვილდება იმ პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტრუმენტების გაცნობაზე, რომელსაც იყენებს ევროკავშირი აღმოსავლეთ სამეზობლო პოლიტიკის გატარებისას.

# ბსუ-ს 5 სტუდენტი პრაქტიკას გერმანიაში გაივლის



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის 5 სტუდენტი აგვისტოში გერმანიაში გაემგზავრება. პროექტის მონაწილეები გერმანული ენის ცოდნისა და აკადემიური მოსწრების საფუძველზე შეირჩნენ. ახალგაზრდები 3 თვის განმავლობაში გერმანიის სხვადასხვა სარესტორნო ქსელში ტურიზმისა და მენეჯმენტის მიმართულებით სასწავლო პრაქტიკას გაივლიან. სტუდენტებს გერმანული სარესტორნო ქსელის "ჰაინრიტცის" დირექტორმა რაინერ ფაშტეტერმა კომპანიის მუშაობის მეთოდები და მიღწევები გააცნო. პროექტი "მაკდონალდსის" სარესტორნო ქსელის კომპანია "ჰაინრიტცის" ორგანიზებით ხორციელდება.

# განათლება ჩვენი ქვეყნის წინსვლის საწინდარია

***ახალი სასწავლო წლის დასაწყისი და მოსალოდნელი სიახლეები, კონკრეტული სარემონტო სამუშაოები, მოსწავლეთა უზრუნველყოფა წიგნებით, პედაგოგთა სერტიფიცირება, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის კონკურსის შეფასება — ეს ის საკითხებია, რაზედაც გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტს" აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი ბატონი გიორგი თავამაიშვილი ესაუბრება:***

**— ბატონო გიორგი, როგორ მიულოცავთ ახალი, 2013 2014 სასწავლო წლის დაწყებას უნივერსიტეტის პროფესურას, სტუდენტ-ახალგაზრდობას და საჯარო სკოლებს?**

— ვულოცავ ახალი 2013-2014 სასწავლო წლის დაწყებას მოსწავლეებს, სტუდენტებს და მათ მშობლებს, პროფესორ-მასწავლებლებს, სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელებს. ვუსურვებ წარმატებას რთულ, მაგრამ კეთილშობილურ საქმეში. კიდევ ერთხელ მსურს შევახსენო ყველას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, რომ კარგი განათლება ჩვენი ქვეყნის წინსვლის საწინდარია.

**— რამდენად მომზადებული ხვდება ჩვენი რეგიონი სასწავლო წელს? რას გვეტყოდით კონკრეტული სარემონტო სამუშაოების შესახებ...**

2013 სასწავლო წლისათვის სრულდება ქობულეთის N1 საჯარო სკოლის მშენებლობა, რომელიც 2012 წელს დაიწყო. ქობულეთის 1 საჯარო სკოლის მშენებლობის პროექტი ორწლიანია. აჭარის ბიუჯეტით სკოლის მშენებლობისათვის გათვალისწინებულია 2 486 299 ლარი.

სკოლის შენობა თანამედროვე არქიტექტურული სტილის იქნება, მოეწყობა საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი და 2 საჩოგბურთო კორტი. შენობა აღჭურვილი იქნება უსადენო ინტერნეტითა და სახანძრო სიგნალიზაციით.

2013 წლის დასრულებამდე განხორციელდება მიწისძვრით დაზიანებული ბათუმის N16 საჯარო სკოლის გამაგრებისა და კეთილმოწყობის სამუშაოები, ბათუმის N29 საჯარო სკოლის იატაკების გამაგრებისა და კეთილმოწყობის სამუშაოები, აჭყვის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ასევე, 2013 წელს მოხდება ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის სკოლის პროექტის საბოლოო შეთანხმება, ხოლო მშენებლობა დაიწყება 2014 წელს.

2013-2014 სასწავლო წლისათვის მთელი საქართველოს მასშტაბით 2084 საჯარო

**— ცნობილია,რომ ახალი სასწავლო წლიდან სკოლის მოსწავლეები წიგნებითაც იქნებიან უზრუნველყოფილი...**

— სკოლის 650 000 მოსწავლე სასკოლო სახელმძღვანელოებს მიიღებს უფასოდ. საქართველოს მთავრობის მიერ საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის სასკოლო სახელმძღვანელოების უფასოდ გადაცემის პრეცედენტი აქამდე არ ყოფილა. წელს პირველად, ყველა საჯარო სკოლის მოსწავლისათვის სახელმძღვანელოებს სახელმწიფო შეიძენს.

2013 წლის მარტიდან ახალი პროექტის ?კოლების ხელმისაწვდომობა ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით დამატებით 140 საჯარო სკოლას სასკოლო ავტობუსი მოემსახურება.

**— განათლების სისტემაში სამომავლოდ განსახორციელებელი მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ?**

2013 წელს აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს პროგრამას საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების განვითარება. პროგრამის მიზანია განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა და საჯარო სკოლების წიგნადი ფონდით უზრუნველყოფა. აჭარის საჯარო სკოლების ბიბლიოთეკები წლებია არ განახლებულა მხატვრული ლიტერატურით. ხშირ შემთხვევაში სკოლაში წიგნადი ფონდის არარსებობა ხელს უშლის მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარის განვითარებასა და კითხვის პოპულარიზაციას. პროფრამის ფარგლებში საჯარო სკოლების ბიბლიოთეკები შეივსება ქართველი და მსოფლიო კლასიკოსების, საბავშვო, საყმაწვილო, შემეცნებითი ხასიათის წიგნებით, ლექსიკონებითა და სხვა სახის ლიტერატურით. ქვეპროგრამის ფარგლებში თავდაპირველ ეტაპზე აქცენტი გაკეთდება ქობულეთის, ხულოს, ქედის, შუახევის მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებზე, რადგანაც მოსწავლეებს მუნიციპალიტეტებში ნაკლებად მიუწვდებათ ხელი საბიბლიოთეკო ფონდზე. არანაკლებ 20 რეაბილიტირებული და ახალაშენებული სკოლის ბიბლიოთეკა აღიჭურვება კლასგარეშე ლიტერატურით. შედეგად 4350 მოსწავლისათვის ხელმისაწვდომი იქნება მხატვრული, შემეცნებითი და სხვა სახის ლიტერატურა.



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში აჭარაში 2012 და 2013 წელს რეაბილიტირებული და აშენებული სკოლები აღიჭურვება უახლესი და თანამედროვე ინდივიდუალური მერხებითა და სკამით მოსწავლეთა ასაკობრივი და ფიზიკური თავისებურებების გათვალისწინებით; სასკოლო დაფებით, სასკოლო კარადებითა და მასწავლებლის კუთხით; თანამედროვე და მასწავლებლების საჭიროებაზე მორგებული სამასწავლებლო ოთახის ინვენტარით. სკოლებში მოეწყობა ბიბლიოთეკები და კომპიუტერული ლაბორატორიები.

**— პედაგოგთა სერტიფიცირება დღეისათვის განათლების სისტემაში ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. როგორია ერთგვარი სტატისტიკა 2013 წლის პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდების მონაცემებისა ჩვენს რეგიონში?**

— 2013 წელს სასერტიფიკაციო გამოცდები წარმატებით გაიარა დაახლოებით 206 მასწავლებელმა. სამწუხაროდ, ეს ციფრი დაბალია მასწავლებელთა რაოდენობასთან შედარებით. მაგრამ, უნდა ვაღიაროთ, რომ სახელმწიფომ უფრო მეტი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს ამ პრობლემის მოგვარების თვალსაზრისით და ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ პედაგოგებს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი კვალიფიკაციის ამაღლებში. აქვე უნდა განვაცხადოთ, რომ სერტიფიცირების პროცედურა ჩვენი აზრითაც სრულად ვერ მოიცავს არსებული პრობლემის გადაჭრის გზებს. სამუშაოა სხვა კუთხითაც, კერძოდ თუ რამდენად კარგად იყენებს პედაგოგი ამ ცოდნას პრაქტიკაში, რისი შეფასებაც სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ ხდება. 2013 წლის 20 აგვისტოს აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და აჭარის განათლების ფონდს შორის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის თანახმად „ბათუმის მასწავლებლის სახლის ფუნქციონირების ფინანსური, ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკითხების მოგვარებას უზრუნველყოფს სამინისტრო და ფონდი, ხოლო შინაარსობრივს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

ბათუმის მასწავლებელთა სახლი ჩამოყალიბდება ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდის ბაზაზე, რომელიც 2011 წლიდან ფუნქციონირებს და გააჩნია შესაბამისი ინფრასტრუქტურა აღნიშნული სერვისის უზრუნველსაყოფად. ბათუმის მასწავლებლის სახლის არსებობა დაეხმარება რეგიონის მასწავლებლებს აიმაღლონ კვალიფიკაცია და გაიარონ პროფესიული ტრენინგები.

**— მიმდინარე სასწავლო წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახალი აკადემიური პერსონალი ხვდება. როგორ შეაფასებთ ამ ყველაფერს თქვენ, როგორც უნივერსიტეტის თანამშრომელი და როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი?**

— უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური პერსონალის არჩევნები ყოველთვის გარკვეული ვნებათაღელვით ხასიათდება. რამდენად სწორი და გააზრებული იყო კომისიების არჩევანი, ამას მომავალი საუნივერსიტეტო ცხოვრება გვიჩვენებს. უახლოეს მომავალში უმაღლესი სასწავლებლები ახალი გამოწვევების წინაშე დადგება. გამოვთქვამ იმედს, რომ შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი, თავისი ინტელექტუალური პოტენციალით, კვლავაც ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

**— როგორ შეაფასებთ 2013 წლის ერთიან ეროვნულ და საერთო სამაგისტრო გამოცდებს?**

— შედეგები დამაკმაყოფილებელია, თუმცა ვერ ვიტყვი რომ წინა წლებთან შედარებით უკეთესია. გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი მაია მიმინოშვილი აცხადებს, რომ „ერთიანი ეროვნული გამოცდები 2013"—ის სტატისტიკური ანალიზის შედეგები შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალია. წელს პირველად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, 2013 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრაციის დასრულებიდან რამდენიმე თვის განმავლობაში და პირველადი შედეგების შეტყობინების შემდეგაც, აბიტურიენტებს შეეძლოთ არჩეული უნივერსიტეტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლა, თანმიმდევრობის ხელახლა განსაზღვრა. არ იყო შეზღუდული არჩეული პროგრამების რაოდენობა (2012 წელს მათ 20 პროგრამის არჩევა შეეძლოთ), აბიტურიენტებს შეეძლოთ ყველა სასურველი პროგრამის მითითება, რომელზეც მათ მიერ არჩეული გამოცდები ბარდებოდა. ამ ცვლილების მიზანი იყო მეორადი ჩარიცხვის საჭიროების მოხსნა, ვინაიდან ახალი სისტემა აბიტურიენტს გაცილებით რეალური არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას აძლევდა. მიუხედავად ამისა, ბარიერგადალახული 693 აბიტურიენტი უმაღლესი სასწავლებლის მიღმა დარჩა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ წელს პირველად დაინერგა რეგისტრაციის ახალი მოდელი, ასევე, აბიტურიენტთა ინტერესების გათვალისწინებით დაუშვას გამონაკლისი და 700-მდე აბიტურიენტს კიდევ ერთი შანსი მისცა გახდეს სტუდენტი და მიეცეს შესაძლებლობა მიიღოს უმაღლესი განათლება.

## „სტუდენტთა დახმარების პროგრამა"

აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტი სამინისტრო 2012 წლიდან ახორცილებს სტუდენტთა დახმარების მიზნობრივ პროგრამას, რომლის მიზანია უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა, რომელიც ითვალისწინებს იმ სტუდენტების დაფინანსებას, რომლებიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად 2010, 2011, 2012 ან 2013 წელს ჩაირიცხნენ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამის პირველ საფეხურზე და ვერ მოიპოვეს სახელმწიფო გრანტის სრული ოდენობა, ან მოიპოვეს სახელმწიფო გრანტის ნაწილობრივი ოდენობა და აკმაყოფილებს ამ პროგრამით დადგენილ ერთ-ერთ კატეგორიას: 1) სტუდენტი, რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სწავლობდა და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიან მუნიციპალიტეტში (ქედა, შუახევი, ხულო); 2) სტუდენტი, რომელიც არის ობოლი დედით, მამით, ან უდედმამო; 3) სტუდენტი, რომელიც არის მრავალშვილიანი ოჯახის წევრი (ოთხი და მეტი შვილი); 4) სტუდენტი, რომლის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში და მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა ტოლია, ან ნაკლებია 100 000-ზე.

2012 წელს პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 272 სტუდენტი. აქედან მაღალმთიანის კატეგორიაში - 78, დედით მამით ან დედმამით ობოლის კატეგორიაში -30, მრავალშვილიანის კატეგორიაში -30 და სოციალურად დაუცველის კატეგორიაში -134.

2013 წელს „სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში დამატებით 2010, 2011, 2012 და 2013 წლებში ჩარიცხული არანაკლებ 180 სტუდენტი მოიპოვებს 2013-2014 სასწავლო წლის პირველი სემესტრის დაფინანსებას. მათ შორის: 90 სტუდენტი 2010, 2011, 2012 წლებში ჩარიცხული აქედან მაღალმთიანის კატეგორიაში -30, დედით მამით ან დედმამით ობოლის კატეგორიაში -10, მრავალშვილიანის კატეგორიაში - 10 და სოციალურად დაუცველის კატეგორიაში - 40.

ასევე, 2013 წელს ჩარიცხული 90 სტუდენტი მოიპოვებს დაფინანსებას. აქედან მაღალმთიანის კატეგორიაში - 30, დედით მამით ან დედმამით ობოლის კატეგორიაში - 10, მრავალშვილიანის კატეგორიაში - 10 და სოციალურად დაუცველის კატეგორიაში - 40.

2013 წელს სტუდენთა დახმარების პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 665000 ლარს.

## უცხოეთში სტაჟირების მიზნობრივი პროგრამა ევროოდისეა

აჭარა, როგორც ევროპის რეგიონთა ასამბლეის წევრი, 2002 წლიდან გაწევრიანდა ახალგაზრდობის პროფესიული სტაჟირების პროგრამაში - ევროოდისეა, რომელიც ამავე ორგანიზაციის ეგიდით დაარსდა 1985 წელს. პროგრამის წევრია ევროპის 14 ქვეყნის 37 რეგიონი.

პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას, პროფესიულ გადამზადებას და/ ან დასაქმებას, პროგრამის მონაწილე რეგიონების კერძო თუ საჯარო სექტორში სამუშაო პრაქტიკის მეშვეობით.

პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს 18-დან 32 წლამდე ასაკის პირს, რომელიც პასუხობს პროგრამის კრიტერიუმებს. 2013 წლის უცხოეთში სტაჟირების მიზნობრივი პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 35 400 ლარით, პროგრამა ითვალისწინებს 15 ახალგაზრდის სტაჟირებას უცხოეთში და 2 უცხოელი სტაჟიორის მიღებას აჭარის რეგიონში. თითოეულ სტაჟიორზე ერთჯერადი დახმარების მიზნით გათვალისწინებულია 950 ლარი.

2013 წლის პროგრამის ფარგლებში, დღეის მონაცემებით პარტნიორი რეგიონების მიერ შერჩეულია 8 (6 საფრანგეთი, 2 ესპანეთი) სტაჟიორი, რომელთაგან 6 იმყოფება სტაჟირებაზე, ხოლო 2 ელოდება სავიზო საკითხის მოგვარებას.

# უნივერსიტეტმა წარმატებით გაიარა ავტორიზაცია და აკრედიტაცია



საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში განხორციელებული რეფორმების საფუძველზე 2011 წლიდან დაიწყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაცის პროცესი უმაღლესმა სასწავლებლებმა სტატუსის შენარჩუნებისა და საგანმანათლებლო პროგრამების დასაფინანსებლად სახელმწიფო სასწავლო გრანტები მოსაპოვებლად უნდა შეძლონ კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების დაკმაყოფილება.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმატებით გაიარა ავტორიზაცია და აკრედიტაცია და აბიტურიენტებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის მიერ აღიარებულ, დადებითად შეფასებულ საგანმანათლებლო პროგრამებს სთავაზობს.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 04 აგვისტოს 117 გადაწყვეტილებით სსიპ—შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს 2012—2013 სასწავლო წლიდან 5 წლის ვადით მიენიჭა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

2011-2013 წლებში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებების საუძველზე, აკრედიტაცია მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებს.

**საბაკალავრო:** აგრონომია, აგროეკოლოგია, სატყეო საქმე, აგროინჟინერია, სასურსათო ტექნოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობები, ფინანსები, საბუღალტრო და საგდასასახადო საქმე, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ტურიზმი, სამართალმცოდნეობა, ფსიქოლოგია, ევროპისმცოდნეობა, მშენებლობა, ტრანსპორტი, ტელეკომუნიკაცია, სამთო და გეოინჟინერია, დაწყებითი განათლება, კომპიუტინგი, მათემატიკა, ფიზიკა ასტრონომიით, ქიმია, ბიოლოგია, ზღვის ბიოლოგია, გეოგრაფია, ეკოლოგია, ქართული ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, თურქული ფილოლოგია, ინგლისური ფილოლოგია, რუსული ფილოლოგია, ფრანგული ფილოლოგია, ისტორია, თურქეთისმცოდნეობა, ფილოსოფია, ფარმაცია, ფინანსური მათემატიკა, კომპიუტერული მათემატიკა, გამოყენებითი ფიზიკა, არქიტექტურა, ეკონიმიკა, თარგმანმცოდნეობა. ერთსაფეხურიანი პროგრამები?ედიცინა, სტომატოლოგია.

**სასამაგისტრო:** აგრარული ტექნოლოგიები, ბიზნესის ადმინისტრირება, ეკონომიკა, ფინანსები და საბანკო საქმე, სამართალი, ფსიქოლოგია, სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა, ტელეკომუნიკაცია, ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები, მათემატიკა, ლინგვისტიკა, ლიტერატურის თეორია და ქართული ლიტერატურათმცოდნეობა, ფიზიკური გეოგრაფია, ნიადაგური რესურსები და გარემოს მდგრადი განვითარება, საბაზო და საშუალო სკოლის საგნის ან საგანობრივი ჯგუფის მასწავლებელი, განათლების ადმინისტრირება, ქიმია, ბიოლოგია, ევროპეისტიკა (სპეციალიზაცია-ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, ფრანგული ფილოლოგია), ისტორია (სპეციალიზაცია-საქართველოს ისტორია, თურქეთის ისტორია), შავიზღვისპირეთისა და კავკასიის არქეოლოგია, ბიზნეს ინფორმატიკა, რადიოფიზიკა, ეთნოლოგია.

**სადოქტორო:** აგროეკოლოგია, მცენარეთა დაცვა, ბიზნესის ადმინისტრირება,ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი, სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა, ფიზიკა, გეომეტრია?ოპოლოგია, ბიოლოგია, ლიტერატურათმცოდნეობა, ლინგვისტიკა, არქეოლოგია, ისტორია, ხელოვნების ისტორია და თეორია, განათლება, ეკონომიკა, სასურსათო ტექნოლოგია, ბიოორგანული ქიმია, სატყეო საქმე, აგროინჟინერია, აგროტექნოლოგია, კომპიუტერული ტექნოლოგიები, თანამედროვე ალგებრა (ნახევარჯგუფები).

***უშუალოდ ამ პროცესებსა და სხვა აქტუალურ საკითხებზე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მერაბ ხალვაში გვესაუბრება.***

**— ბატონო მერაბ, პირველ რიგში უნივერსიტეტს ვულოცავთ ესოდენ მნიშვნელოვან წარმატებას და გთხოვთ, მკითხველს დეტალურად აუხსნათ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესი.**

— დიდ მადლობა, ეს უნივერსიტრეტის საერთო წარმატებაა. 20112013 წლები შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის მეტად ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი იყო. მოიპოვა ავტორიზაცია და ამით შეინარჩუნა უნივერსიტეტის სტატუსი, ხოლო 2013 წლის თებერვლის მონაცემებით პროგრამული აკრედიტაცია გაიარა უმაღლეს სასწავლებელში მოქმედმა პროფესიულმა, საბაკალავრო და სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებმა

ავტორიზაციის შემოღებამდე უმაღლეს სასწავლებლებში ინსტიტუციური აკრედიტაცია მიმდინარეობდა, რომელიც ითვალისწინებდა როგორც საგანმანათლებლო პროგამების, ისე მატერიალურ-ექნიკური ბაზის, ადამიანური რესურსისა და მატერიალურ რესურსის აკრედიტაციას. შემდეგ ეს კრიტერიუმები გაიმიჯნა და ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის მოთხოვნებში გადანაწილდა.

ავტორიზაცია არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. უმაღლესი სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა განისაზღვრება დადგენილ სტანდარტებთან, მიმართებაში, რომლის მიზანია განათლების ხარისხის ასამაღლებლად სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა. აკრედიტაცია აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო დაწესებულებას სურს სახელმწიფო სასწავლო და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მიღება, სადოქტორო, რეგულირებადი, ასევე მასწავლებლისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. რეგულირებადი პროგრამებია: იურიდიული, სამედიცინო (მათ შორის სავეტერინარო მედიცინის) და პედაგოგიური.

თუ უნივერსიტეტი ავტორიზაციას ვერ გაივლის, მას უწყდება სტატუსი. საკმაოდ დიდი საფრთხის შემცველი და საპასუხისმგებლო პროცესია. სამწუხაროდ, არაერთმა უმაღლესმა სასწავლებელმა ვერ მოიპოვა ავტორიზაცია და სტუდენტები იძულებული გახდნენ მობილობის წესით გადასულიყვნენ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ამდენად თუ ავტორიზაცია არის აუცილებელი პირობა სტატუსის შენარჩუნებისათვის, პროგრამული აკრედიტაცია არის ერთგვარი პრესტიჟი და უნივერსიტეტის ღირსება. ამით დასტურდება და განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობა. რამდენადაც აქვს აკრედიტირებული პროგრამები, იმდენად უფრო მაღალია უნივერსიტეტის პრესტიჟი, მასზე მოთხოვნა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აკმაყოფილებს იმ საერთაშორისო სტანდარტებს, რომელთაც სახელმწიფო გთავაზობს რეკომენდაციების სახით. ეს მნიშვნელოვანი მიღწევაა ჩვენთვის, როგორც ბოლონიის პროცესის მონაწილე უნივერსიტეტისათვის.

**— ბატონო მერაბ, კონკრეტულად რა მოთხოვნები უნდა დაეკმაყოფილებინა უნივერსიტეტს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის გასავლელად?**

ავტორიზაცია ითხოვს შემდეგი სტანდარტების დაკმაკოფილებას: ადამიანური რესურსი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საგანმანათლებლო პროგრამები. პროგრამებთან მიმართებით სტანდარტი დაკმაყოფილებულია თუ იგი აღწერილია ზოგადი კვალიფიკაციის ჩარჩოს მოთხოვნათა მიხედვით. ორიენტირებული უნდა იყოს შედეგზე და ხორციელდებოდეს სათანადო კვალიფიკაციების მოთხოვნების მიხედვით. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელია უნივერსიტეტს ჰქონდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მხედველებოში მაქვს ლაბორატორიები, კვლევითი დაწესებულებები, აუდიტორიები, ბაზები, სველი წერტილები და ა.შ. მესამე, მთავრი სტანდარტი ეს არის ადამიანური რესურსი პროგრამას ჰყავს თუ არა შესაბამისი აკადემიური რესურსი, რომელიც შეძლებს ამ პროგრამის კვალიფიკაციურ დონეზე განხორციელებას.

ავტორზაციის გასავლელად უნივერსიტეტმა პირველ ეტაპზე უზრუნველყო თვითშეფასება. საგანმანათლებლო დაწესებულება ამ დროს განსაზღვრავს საგანმანათლებლო სივრცეში საკუთარ მისიას, აფასებს საგანმანათლებლო პროგრამებს, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს. თვითშეფასების შემდეგ ავტორიზაციის ექსპერტები ამოწმებენ დაწესებულების პირობების შესაბამისობას ავტორიზაციის სტანდარტებთან (საგანმანათლებლო პროგრამები, მატერიალური რესურსი, ადამიანური რესურსი).

**— შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს რამდენი სტუდენტის მიღება შეუძლია?**

— ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით უნივერსიტეტს 2012-2013 სასწავლო წლიდან 5 წლის ვადით მიენიჭა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება, ხოლო სტუდენტთა ადგილების რაოდენობა თავდაპირველად განისაზღვრა 4940-ით, ხოლო ავტორიზაციის საბჭოს 2013 12 (26.03) გადაწყვეტილებით 6000-ით (სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიულ პროგრამის სტუდენტთა რაოდენობა არის 200).

რაც შეეხება აკრედიტაციის მოთხოვნებს, ეს უკანასკნელი ითვალისწინებდა შემდეგი ხუთი სტანდარტის დაკმაყოფილებას, ესენია: საგანმანათლებლო პროგრამების მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა; სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, შეფასების ადეკვატურობა; მოსწავლეების/სტუდენტების მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა; სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა; სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.

**— რამდენი ხანი ემზადებოდა უნივერსიტეტი აკრედიტაციისათვის?**

— ამ მიმართებით აქტიური მზადება გასული სასწავლო წლის თებერვლიდან დავიწყეთ და მასში ჩართული იყო უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურა. მიმდინარე სამუშაოებს კოორდინირებას უწევდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ყოველი დღის ბოლოს შედეგები, არსებული პრობლემები განიხილებოდა უნივერსიტეტის რექტორთან ერთად.

პროგრამების შემუშავება დავიწყეთ ბაზრის შესწავლითა და დამსაქმებლებთან შეხვედრებით, ასევე გათვალისწინებული იყო პროფესორთა, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა მოსაზრებები. ჩატარდა სამუშაო შეხვედრები პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირებთან კურიკულუმისა და სილაბუსების შედგენის ინსტრუქციის გაცნობისა და განხილვის მიზნით. მონაცემთა შეგროვებისა და აღნიშნული ტრენინგების ჩატარების შემდეგ დეპარტამენტებში დაიწყო უშუალოდ პროგრამების შემუშავება, რომელიც ექსპერტიზის მიზნით გადაეცა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. შემდეგ პროგრამები განიხილა ფაკულტეტის საბჭოებმა და დაამტკიცა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ. პარალელურად მზადდებოდა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ანგარიშები შესაბამისი დოკუმეტური დადასტურებებით. პროგრამათა გარკვეული კორექტირება მოხდა ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციებისა და რჩევების შედეგადაც.

პროგრამული აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტები განხორციელდა 2011 წლის ნოემბერს და 2012 წლის თებერვალსა და დეკემბერში და იგი დაკომპლექტებული იყო კომპეტენტური, პროფესიონალი პირებისაგან. უნდა ითქვას, რომ მათგან ჩვენ მივიღეთ სასარგებლო რჩევები და რეკომენდაციები, რაც მნიშვნელოვნათ წაადგება პროგრამების შემდგომ გაუმჯობესებას.

აკრტედიტაცია გაიარა აკრედიტაციის საბჭოში განსახილველად წარდგენილმა თითქმის ყველა პროგრამამ, რაც იშვითი შემთხვევაა. რამდენიმე პროგრამამ (ბიოლოგია, ზღვის ბიოლოგია,გეოგრაფია) აკრედიტაცია რეკომენდაციების გარეშე გაიარა, რაც უპირველესად ამ პროგრამათა ხელმძღვანელებისა და პროფესორების დამსახურებაა.

**— პროგრამები ხომ არსებობდა და რატომ დაიწყეთ ახლის შემუშავება?**

— პროგრამების შემუშავება დავიწყეთ ახალი სტანდარტების, აკრედიტაციის კრიტერიუმების გათვალისწინებით. ფაქტობრივად, ახალი რეკომენდაციების საფუძველზე. ძველი პროგრამები, რომლებიც უნივერსიტეტში მოქმედებდა, არ იყო მისადაგებული ამ რეკომენდაციებზე. კარგად არის გამოკვეთილი ამ პროგრამებში მიზანი და შედეგი. როცა სტუდენტი იწყებს სწავლას კონკრეტულ პროგრამაზე, იცის რა შედეგს მიიღებს, როგორ მოერგება შრომის ბაზარს. ასე, რომ უნივერსიტეტი დღეს აბიტურიენტებს სთავაზობს აკრედიტებულ, შრომის ბაზართან ადაპტირებულ პროგრამებს, რომლებიც აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს.

## გონიო-აფსაროსის ციხეში უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა საზეიმო გაცილება გაიმართა

**გონიო-აფსაროსის ციხეში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა საზეიმო გაცილება მოეწყო. ახალგაზრდებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრება რექტორის მოადგილეებმა ირაკლი ბარამიძემ და ნათია წიკლაშვილმა, ადმინიტრაციის ხელმძღვანელმა ედიშერ ჩავლეიშვილმა, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარემ ირაკლი ჩავლეიშვილმა, აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი მასალკინმა, აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ ლადო მგალობლიშვილმა, აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ დავით მიქელაძემ და საზოგადოების წარმომადგენლებმა მიულოცეს. მანტიებში გამოწყობილ წარჩინებულ კურსდამთავრებულებს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის დიპლომები, სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს. საზეიმო გაცილების ცერემონია ჯგუფ „სიურპრიზის" კონცერტითა და ფოიერვერკის გაშვებით დასრულდა. უნივერსიტეტი 2012-2013 სასწავლო წელს 1000-მდე სტუდენტმა დაამთავრა.**



# ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები - 2013

**სრულიად საქართველოში ახალი, 2013-2014 სასწავლო წელი დაიწყო. ამ დღისთვის განსაკუთრებით ემზადებიან როგორც სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლებიც, მაგრამ განსაკუთრებით პირველკურსელები ღელავენ. მათ უკვე გააზრებული აქვთ, რომ ცხოვრების ახალ ეტაპზე გადავიდნენ.**

**ამ მხრივ, საინტერესოა ჩვენი რეგიონის საჯარო სკოლებს გადავავლოთ თვალი (ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური და ქობულეთი). როგორია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება სკოლებში, რომელ უმაღლეს სასწავლებლებს ანიჭებენ უპირატესობას იქაური აბიტურიენტები და ა.შ. მასწავლებელი სწავლების პროცესში ყოველთვის შედეგზეა ორიენტირებული. საჯარო სკოლის მასწავლებლის შრომის გვირგვინი კი მისი აღზრდილის ჯერ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა, შემდეგ წარმატებული სტუდენტობა, ბოლოს კი პატრიოტ პროფესიონალად ხილვაა, რა თქმა უნდა, ხვალინდელი დღის, უკეთესი მერმისისთვის...**

**ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების შესახებ გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტს“ რეგიონების რესურსცენტრების ხელმძღვანელები ესაუბრებიან.**

### ხულოს მუნიციპალიტეტი

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ხულოს მუნიციპალიტეტიდან დარეგისტრირდა 405 (ოთხასხუთი) აბიტურიენტი. მათ შორის 2012-2013 სასწავლო წლის კურსდამთავრებული იყო 275(ორასსამოცდათხუთმეტი), ხოლო გასულ წლეებში სკოლადამთავრებული 30 (ოცდაათი) აბიტურიენტი.

ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხა 160 აბიტურიენტი. მათგან 4 -მა აბიტურიენტმა 50%-იანი გრანტი მიიღო, 2-მა კი 70 %-იანი.

საერთო სტატისტიკა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულების შესახებ ასეთია:

ა(ა)იპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია-1;

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ბათუმი) –68 (სამოცდარვა) ;

ა(ა)იპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი-2

ილიას უნივერსიტეტი - 5(ხუთი);

ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი- 2;

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი -1 ;



გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი-1 ;

ბათუმის საზღვაო აკადემია -1(ერთი);

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - 10(ათი);

ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი - 2 (ორი);

აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის უნივერსიტეტი - 1(ერთი);

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი -3 ;

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი -1(ერთი) ;

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი (სდასუ) -2

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი (ხულო)-44

საქართველოს უნივერსიტეტი- 4

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი-1

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი -1

შპს-თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი -8

შპს “საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ”- 2

წარმატებული საჯარო სკოლებია: დაბა ხულოს, ქვემო ვაშლოვანის,დიდაჭარის, ქედლების, ხიხაძირის, ოქრუაშვილების, წაბლანის საჯარო სკოლები და წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის კერძო სკოლა.

მინდა მივულოცო ყოფილ აბიტურიენტებს სტუდენტობა და ვუსურვო ნაყოფიერი სასწავლო წლის დაწყება.

გილოცავთ და გისურვებთ წარმატებებს.

**პატივისცემით,**
**ედუარდ მიქელაძე**
**ხულოსრესურსცენტრის უფროსი**

### შუახევის მუნიციპალიტეტი

უკან დაგვრჩა ერთიანი ეროვნული გამოცდების საზაფხულო ციებ-ცხელება. რაიონის საჯარო და კერძო სკოლების კურსდამთავრებულები და სხვა მსურველები თადარიგს გამოცდების ჩასაბარებლად ადრიდანვე შეუდგნენ.

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე შუახევის საგანმანათლებლო რესურსცენტრში რეგისტრაცია გაიარა 409 აბიტურიენტმა. მათ შორის 2012-2013 სასწავლო წლის კურსდამთავრებული იყო 312, ხოლო გასულ წლებში სკოლადამთავრებული 97 აბიტურიენტი.

ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხა 180 შუახეველი ახალგაზრდა. მათგან 11-მა აბიტურიენტმა 50%-იანი გრანტი მიიღო, 1-მა კი 70 %-იანი.

საერთო სტატისტიკა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულების შესახებ ასეთია:

თსუ – 5;

ბსუ – 64;

ტასუ - 69;

ილიას უნივერსიტეტი - 1;

სამხატვრო აკადემია - 2;

საქართველოს უნივერსიტეტი - 1;

ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტი - 1;

ბათუმის საზღვაო აკადემია -11;

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - 9;

ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი - 2;

აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის უნივერსიტეტი - 4;

თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი - 1;

სდასუ - 1;

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი - 2;

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 2;

წარმატებული საჯარო სკოლებია: ახალდაბის, გოგინაურის, ხიჭაურის, ჭალის, ნიგაზეულისა და უჩამბის საჯარო სკოლები.

აღსანიშნავია ხიჭაურის წმიდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის წარმატებაც. წელს ამ სკოლიდან 180 კურსდამთავრებულიდან 104 ჩაირიცხა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

მინდა მივულოცო ყოფილ აბიტურიენტებს სტუდენტობა და ვუსურვო ნაყოფიერი სასწავლო წლის დაწყება.

მჯერა და დარწმუნებული ვარ, რომ სასწავლებლების ახალი შევსება ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავლის მჭედლები იქნებიან. ასევე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მთიელი ახალგაზრდები ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ცოდნით შეიარაღებულები დაუბრუნდებიან მშობლიურ კერას და საამურ მომავალს აქ შექმნიან.

გილოცავთ და გისურვებთ წარმატებებს!

**პატივისცემით,**
**ზაურ დავითაძე**
**შუახევის რესურსცენტრის**
**უფროსის შემსრულებელი**
**ყველა სტუდენტის მეგობარი**

### ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტიდან დარეგისტრირდა 341 აბიტურიენტი (2012-2013 სასწავლო წლის კურსდამთავრებული).

ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა 215 აბიტურიენტი. მათგან 6-მა აბიტუ-



რიენტმა 50%-იანი გრანტი მიიღო, 2-მა 70 %-იანი, 4-მა კი 100%-იანი.

საერთო სტატისტიკა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულების შესახებ ასეთია:

ა(ა)იპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია-2;

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი – 115 ;

ა(ა)იპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი-6

ილიას უნივერსიტეტი - 4

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი -4,

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი-2 ;

ბათუმის საზღვაო აკადემია -29

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - 2

ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი - 4

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი -7 ;

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი -3

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი (ხულო)-15

საქართველოს უნივერსიტეტი- 5

შპს-თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი -1

შპს “საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ”- 2

აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი 2

თბილისის აგრარული უნივერსიტეტი 1

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1

თბილისის ხელოვნების უნივერსიტეტი 3

თბილისის სულხან?აბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტი 2

თბილისის სახელმწიფო ჰუმანიტარული სასწავლებელი 1

ავიაციის უნივერსიტეტი 3

რუსთავის უნივერსიტეტი 1

წარმატებული საჯარო სკოლებია: სალიბაურის N1, სალიბაურის N2, ახალშენის N1, ხელვაჩაურის 1, ახალსოფლისა და ფერიის საჯარო სკოლები.

სულითა და გულით ყველა პირველკურსელს ვულოცავ სტუდენტობას, წარმატებებსა და ბედნიერებას ვუსურვებ მათ.

**უღრმესი პატივისცემით,**
**ნევრესტან დიდმანიძე**
**ხელვაჩაურის რესურსცენტრის უფროსი**

### ქობულეთის მუნიციპალიტეტი

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქობულეთის მუნიციპალიტეტიდან დარეგისტრირდა 673 (ექვსასსამოცდაცამმეტი) აბიტურიენტი. მათ შორის 2012-2013 სასწავლო წლის კურსდამთავრებული იყო 507(ხუთასშვიდი), ხოლო გასულ წლეებში სკოლადამთავრებული 166(ასსამოცდაექვსი) აბიტურიენტი.



ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხა 405 აბიტურიენტი. მათგან 3 -მა აბიტურიენტმა 100%-იანი გრანტი მიიღო, 3-მა კი 70 %-იანი, ხოლო 30?ა 50%?ანი.

საერთო სტატისტიკა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულების შესახებ ასეთია:

ა(ა)იპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია-2(ორი);1 გრანტოსანი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ბათუმი) –164(ასსამოცდაოთხი) ;4 გრანტოსანი

ა(ა)იპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი-5(ხუთი)3 გრანტოსანი

ილიას უნივერსიტეტი - 29(ოცდაცხრა);11 გრანტოსანი

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი -7(შვიდი) ;

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი-5(ხუთი) ;

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - 21(ოცდაერთი);

ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი - 1 (ერთი);

აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის უნივერსიტეტი - 6(ექვსი);

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი -20(ოცი) ;9 გრანტოსანი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი - 11(თერთმეტი) ;

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი (სდასუ) -5(ხუთი)1 გრანტოსანი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი (ხულო)-16 (თექვსმეტი)

საქართველოს უნივერსიტეტი- 22 (ოცდაორი)1 გრანტით

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი- 2 (ორი)

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი -3 (სამი)

შპს-თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი -9 (ცხრა)

შპს “საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ”- 9(ცხრა)

ა(ა)იპ?აქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი—2(ორი)

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი1(ერთი)

ა(ა)იპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი3(სამი)

აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი7(შვიდი)

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი3(სამი)

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი1(ერთი)?რანტი

თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი?იპოკრატე—1(ერთი)

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი?ორგასალი—1(ერთი)

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი2(ორი)1 გრანტოსანი

კავკასიის უნივერსიტეტი 1 (ერთი) გრანტი

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი 4 (ოთხი) 2 გრანტოსანი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი5(ხუთი)

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი2(ორი)

სსიპ?ასწავლო უნივერსიტეტი?ათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია17(ჩვიდმეტი)1 გრანტოსანი

უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია1(ერთი)

ქუთაისის უნივერსიტეტი(ქ.ქუთაისი)1(ერთი)

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი—1(ერთი)

შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი4(ოთხი)

შპს აიბი ევროკავკასიური უნივერსიტეტი — 1 (ერთი)

შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი — 3 (სამი)

შპს საზღვაო სასწავლო ცენტრი ანრი— 2 (ორი)

შპს სუხიშვილების სასწავლო უნივერსიტეტი 5 (ხუთი)

მინდა მივულოცო ყოფილ აბიტურიენტებს სტუდენტობა და ვუსურვო ნაყოფიერი სასწავლო წლის დაწყება.

გილოცავთ და გისურვებთ წარმატებებს.

**პატივისცემით,**
**მადონა გოგიტიძე**
**ქობულეთის რესურსცენტრის უფროსი**

### ქედის მუნიციპალიტეტი

2012-2013 სასწავლო წლისათვის ქედის მუნიციპალიტეტის საშუალო საფეხურის 18 საჯარო სკოლაში ზოგადსაგანმანათლებლო სწავლების სრული კურსი დაამთავრა 230 მოსწავლემ. მათგან 133 დარეგისტრირდა აბიტურიენტად ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ უმაღლეს საწავლო პროგრამებზე ჩასარიცხად. გამოცდებისათვის ასევე დარეგისტრირდა გასულ წლებში სკოლადამთავრებული 52 აბიტურიენტი.

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად 185 აბიტურიენტიდან 84 ჩაირიცხა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში არსებულ უმაღლეს საწავლო პროგრამებზე. მათ შორის მხოლოდ ორმა მოიპოვა 50% და 70% სახელმწიფო დაფინანსება.

ჩარიცხულთაგან, 33 გახდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, 15 სსიპ—სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის, 22 საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის, ხოლო დანარჩენი — 14 საქართველოს სხვადასხვა ქალაქში არსებული აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტი.

როგორც სტატისტიკიდან ჩანს, უფრო მეტი პოპულარობით ახალგაზრდებს შორის სარგებლობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი. გარდა ამისა, რესურსცენტრს საქმიანი ურთიერთობა აქვს აჭარაში არსებულ ყველა უმაღლეს თუ პროფესიულ სასწავლებლებთან. მათი მონაწილეობით ხშირად იმართება გასვლითი შეხვედრები საჯარო სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებთან, ახალგაზრდობასა და განათლების სფეროს მუშაკებთან. ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის ბავშვებს ურიგდებათ ბროშურები, ესაუბრებიან სამომავლო გეგმებზე, აცნობენ მათი სასწავლებლის სინამდვილეში არსებულ სიახლეებსა თუ სტუდენტისათვის სასარგებლო ახალ პროგრამებზე.

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი 16 სექტემბერს განახლდა. უნივერსიტეტის ოთხი ფაკულტეტის (სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი, განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, ტექნოლოგიური ფაკულტეტი, ტურიზმის ფაკულტეტი) დეკანები აცხადებენ, რომ სასწავლო პროცესის წარმატებით რეგულირებისთვის მზად არიან. ინოვაციაა ისიც, რომ ახალი სასწავლო წლიდან განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე ოთხი ახალი, დამოუკიდებელი ფაკულტეტი იარსებებს.**

**ქალბატონი მარინა ქორიძე, ბატონები: ადამ მახარაძე, გიზო ფარცხალაძე და როსტომ ბერიძე გაზეთ ბათუმის უნივერსიტეტის ფურცლებიდან ულოცავენ ყველა უნივერსიტეტელს ახალი სასწავლო წლის დაწყებას, განსაკუთრებულ აქცენტს კი პირველკურსელებზე აკეთებენ, რადგან ისინი ჩვენი რეგიონის ხვალინდელი დღის ნათელი მაგალითი იქნებიან.**



**ბათუმის** შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახალ 2013-2014 სასწავლო წელს ხვდება. მიუხედავად უნივერსიტეტში დაგეგმილი რეორგანიზაციისა, მინდა ეს დღე როგორც განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა მოგილოცოთ თითოეულ სტუდენტს, პედაგოგსა თუ რიგით თანამშრომელს, რადგან ახალი სასწავლო წლის დაწყება დაკავშირებულია სიახლეებთან და ახალ მიღწევებთან.

თავისი არსებობის განმავლობაში უნივერსიტეტთან ერთად განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. იგი ყოველთვის აქტიურად იყო ჩართული საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, მუდმივად ცდილობდა ყურადღების მიღმა არ დარჩენოდა როგორც სასწავლო პროცესში მიმდინარე სიახლეები, ასევე ის სხვადასხვა წამოწყება, რომელიც ხელს შეუწყობდა ჩვენი უნივერსიტეტის წინსვლასა და პოპულარიზაციას.

ახალი სასწავლო წლიდან ოთხი ახალი, დამოუკიდებელი ფაკულტეტი იარსებებს. მათი წარმატება თითოეული სტუდენტისა და თანამშრომლის მონდომებაზეა დამოკიდებული. პირველ რიგში მინდა მივულოცო ჩვენს პირველკურსელებს. ისინი ახალ ეტაპს იწყებენ თავიანთ ცხოვრებაში, და მინდა დავარწმუნო, რომ ამ დიდი ტრადიციების მქონე უნივერსიტეტის კედლებში მათ საინტერესო სტუდენტური ცხოვრება ელოდებათ, ისინი შეუდგებიან მომავალი, დარწმუნებული ვარ, წარმატებული ცხოვრების საძირკვლის ჩაყრას და ამაში ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები გვერდით დაუდგებიან.

მინდა მივულოცო პროფესორ-მასწავლებლებსაც. მათ თავიანთ პროფესიულ გზაზე მნიშვნელოვანი ეტაპი გაიარეს და ახალი მოტივაციით, ახალი ძალისხმევით უნდა შეუდგნენ საქმის აღსრულებას.

ამ დღეს მივულოცავ ადმინისტრაციასა და უნივერსიტეტის რიგით თანამშრომელსაც, რადგან მათი ძალისხმევის გარეშე შეუძლებელია სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვა.

ბოლოს წარმატებული საქმიანობა მინდა ვუსურვო ახლაშექმნილ ფაკულტეტებს და ერთი რამ მინდა დავსძინო, თითოეული ჩვენგანისათვის უნივერსიტეტის კედლები მშობლიურია, ამიტომ სადაც არ უნდა ვიყოთ, რა პოზიციაზეც არ უნდა ვსაქმიანობდეთ, მასზე ზრუნვა და მისი წარმატება თითოეული ჩვენგანის უმთავრესი მიზანი უნდა იყოს და პირველკურსელებსაც ის უანგარო სიყვარული უნდა ჩავუნერგოთ, რასაც, დარწმუნებული ვარ, თითოეული ჩვენგანი განიცდის.

**მარინა ქორიძე,**
**განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი**



**ჩვენი** ფაკულტეტის სახელით უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს, მათ მშობლებსა და ლექტორ-მასწავლებელს მსურს მივულოცო სასწავლო წლის დაწყება. განსაკუთრებული წარმატებები მინდა ვუსურვო პირველკურსელებს. ისინი, როგორც წესი, დიდი ინტერესითა და მოლოდინით შეჰყურებენ იმ ცოდნის ტაძარს, რომელმაც დიდი როლი უნდა ითამაშოს მათ პიროვნებად ჩამოყალიბებასა და განათლებაში. სწავლასა და სწავლების პროცესში თავდაუზოგავ და მიზანდასახულ შრომას მოაქვს თავისი ნაყოფი, რომელსაც განათლებული თაობა ჰქვია. სწორედ ასეთ თაობას შეუძლია მძლავრი იმპულსით სწრაფად განავითაროს ქვეყნის ეკონომიკა და შექმნას კეთილდღეობა.

ახალი სასწავლო წლის გეგმებზე სანამ ვისაუბრებთ, სასურველია, მოკლედ შევაფასოთ გასული წელი, რომელშიც არაერთი სასიამოვნო მოვლენა მოხდა, რომელთაგან რამდენიმე მათგანი საგანგებო აღნიშვნას იმსახურებს. ჩვენი ფაკულტეტის ინიციატივით ავსტრიის გრაცის უნივერსიტეტთან ერთად ჩატარდა საზაფხულო სკოლა თემაზე „ევროკავშირის სამართალი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის. სკოლა ჩატარდა ინგლისურ ენაზე და მასში აქტიურად მონაწილეობდნენ პროფესორები და სტუდენტები ცხრა ქვეყნიდან. „სამართალმცოდნეობის სტუდენტმა — ლუკა ზაქარიაძემ საზოგადოებისათვის მეტად პოპულარულ კონკურსში „საქართველოს ვარსკვლავი მოიპოვა პირველი ადგილი. მარკეტინგის სპეციალობის სტუდენტმა აჩიკო დიასამიძემ მოიპოვა 2012 წლის საქართველოს კარატისტის საუკეთესო ტიტული. საბუღალტრო და საგადასახადო საქმის სპეციალობის სტუდენტმა თორნიკე წულუკიძემ მონაწილეობა მიიღო ქ. სოჭში გამართულ მან-სან-კანის საერთაშორისო ფესტივალში. საქართველოს გუნდი გავიდა მეორე ტურში და მოხვდა უკრაინის უმაღლეს ლიგაში, რის საფუძველზეც გუნდი მიწვეული იყო იურმალას საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე. სამართალმცოდნეობის სტუდენტებმა იურისტის დღესთან დაკავშირებით მოაწყვეს კონცერტი „მღერიან და ხუმრობენ მომავალი იურისტები. ფაკულტეტმა სხვადასხვა სპეციალობაში კვალიფიკაცია მიანიჭა და გზა დაულოცა 168688-მდე ბაკალავრს, მაგისტრანტსა და დოქტორანტს. მთელმა ფაკულტეტმა საკმაოდ აქტიური მონაწილეობა მიიღო მეოთხე კურსელთა გაცილების საზეიმო ღონისძიებაში. ერთი სიტყვით, გასულ წელს განათლების, კულტურულ-შემეცნებითი და სპორტული თვალსაზრისით არაერთი სასიამოვნო და საინტერესო მოვლენა თუ ღონისძიება გაიმართა.



ვფიქრობთ, არანაკლებ საინტერესო და წარმატებული წელი უნდა იყოს მომავალი სასწავლო წელიც, რომლისთვისაც უკვე არსებობს გარკვეული ინდიკატორები:

ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით ჩვენს ფაკულტეტზე მოქმედი ყველა საბაკალავრო პროგრამა 100 პროცენტით დაკომპლექტდა. ამასთან, ზოგიერთი მათგანი საქართველოს მასშტაბით საკმაოდ მაღალი კონკურენციის პირობებში შეივსო. ასე მაგალითად, სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაზე პირველი ადგილის განაცხადის მიხედვით წელს ერთ ადგილზე 8,58 სტუდენტი მოდიოდა; ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე 5; საერთაშორისო ურთიერთობებზე 5,9; ეკონომიკაზე 3,3; ფინანსებზე 2,8. ასეთი ტენდენცია, ვფიქრობთ, შენარჩუნდება მომავალშიც. საგულისხმოა ისიც, რომ წელს გასულ წელთან შედარებით უფრო მეტი სტუდენტი ჩაირიცხა 100 პროცენტიანი გრანტით, რაც მეტყველებს იმაზე, რომ რაოდენობრივმა კონკურენციამ განაპირობა სტუდენტების ხარისხობრივი მატებაც.

ჩვენი ფაკულტეტისათვის დამდეგი სასწავლო წლის მნიშვნელოვან ინდიკატორად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ სახელმწიფომ შეცვალა სტუდენტთა გრანტით დაფინანსების პირობები. კერძოდ, გასულ წელს ჩვენს ფაკულტეტზე მოქმედ პროგრამათა ძირითად ნაწილზე: სამართალმცოდნეობაზე, ფინანსებზე, მენეჯმენტზე, საბუღალტრო და საგადასახადო საქმეზე, მარკეტინგზე, საერთაშორისო ურთიერთობებზე მხოლოდ 100 პროცენტიანი გრანტი მოქმედებდა, ამჟამად მოქმედებს 50- და 70-პროცენტიანი გრანტებიც, რაც ნამდვილად წაადგება ჩვენი ფაკულტეტის განვითარებას.

მიმდინარე ზაფხულში ჩატარდა კონკურსი აკადემიურ პირთა ასარჩევად. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მიულოცო კონკურსში გამარჯვებულ ყველა კანდიდატს ეს წარმატება. არჩევნების საფუძველზე არაერთმა ახალგაზრდა კადრმა დაიკავა აკადემიური თანამდებობა, რაც, ვფიქრობთ, კარგი იმპულსი იქნება ფაკულტეტის უკეთესი მომავლისათვის. ამასთან, ამ არჩევნებზე აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევად აუცილებელი მოთხოვნა იყო სახელმძღვანელოს, სალექციო კურსის ან სასწავლო რიდერის ელექტრონული ვერსიის შექმნა, რაც წარმოადგინეს კონკურსანტებმა. ვფიქრობთ, სტუდენტებს აღარ უნდა შეექმნათ სასწავლო ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა.

გასულ სასწავლო წელს ვწერდით, რომ არის კარგი ტენდენცია მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის კუთხით, რომ აუდიტორიებში შემოვიდა ახალი სასწავლო მერხები და სკამები, ვიდეოპროექტორები და ეს ტენდენცია ალბათ გაგრძელდება მომავალშიცო. დიახ, მართლაც ასეა, და ამას წელს აუდიტორიაში შესული ყველა სტუდენტი შენიშნავს, ვინაიდან თითქმის ყველა აუდიტორიაში ჩამოიკიდა ფარდები, დეპარტამენტებში კი შეიცვალა მოძველებული ინვენტარი: მაგიდები, კარადები და სხვა.

ერთი სიტყვით, აშკარად არის სიახლეები მომავალი სასწავლო წლის უკეთესი წარმართვისთვის. საინტერესოა ისიც, რომ ჩვენი ფაკულტეტის არაერთმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა კონკურსში სხვადასხვა ქვეყანაში სწავლის გაცვლით პროგრამაში და გაიმარჯვეს კიდევაც. ამჟამად ისინი ემზადებიან ესტუმრონ უცხოეთის სხვადასხვა წარმატებულ უნივერსიტეტს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სამართალმცოდნეობის მეოთხე კურსის სტუდენტმა საქართველოს მასშტაბით საკმაოდ დიდი კონკურსის პირობებში მოიპოვა უფლება ამერიკის ქალაქ ნიუ-ორკში გამგზავრებისა და გაეროს შტაბ-ბინაში სამუშაო პრაქტიკის გასაცნობად.

გასულ სასწავლო წელს მომზადდა და მიმდინარე სასწავლო წლისათვის აკრედიტაცია გაიარა ეკონომიკის სადოქტორო პროგრამამ. ამჟამად უკვე ფუნქციონირებს ეკონომიკის აკრედიტებული საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, რაც ამ მიმართულებით მომავალში ბაკალავრიატში ჩარიცხულ სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას უფასოდ სწავლების.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ ყველას მინდა მიულოცო ახალი სასწავლო წლის დაწყება და აღვნიშნო, რომ სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი მაქსიმალურად შეეცდება შეინარჩუნოს ტრადიციები. ამასთან, უპასუხოს იმ ურთულეს გამოწვევებს, რომელიც ცივილური საზოგადოების სწრაფი განვითარებისა და გლობალიზაციის პროცესით არის განპირობებული. განათლებული საზოგადოება არის მყარი გარანტი მშვიდობის შენარჩუნების, დემოკრატიისა და ჰუმანურობის პრინციპების განუხრელი გატარებისათვის.

**ადამ მახარაძე,**
**სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი**





**პირველ რიგში მინდა მივულოცო სასწავლო წლის დაწყება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და ლექტორ-მასწავლებლებს! ვუსურვო მათ წარმატებები. ჩვენი უნივერსიტეტი დიდი გამოწვევების წინაშე დგას, დიდია თანამედროვე მოთხოვნები ზოგადად უნივერსიტეტების მიმართ და ამ მოთხოვნების შესასრულებლად უდიდესი ძალისხმევაა საჭირო, რაც ჩვენს უნივერსიტეტს, უდავოდ გააჩნია. ღრმად მჯერა, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმატებულ ადგილს დაიმკვიდრებს არამარტო საქართველოს, არამედ უცხოეთის საუკეთესო სასწავლებლებს შორის.**

**— ბატონო გიზო, როგორ ხვდება ტექნოლოგიური ფაკულტეტი ახალ სასწავლო წელს ?**

— ტექნოლოგიურმა ფაკულტეტმა გასულ სასწავლო წელს ჩაატარა ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი სამუშაოები, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ მომზადებული იქნა არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები, თვითშეფასების კითხვარები და სხვა საჭირო დოკუმენტაცია პროგრამული აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფისათვის. გაწეული მუშაობის შედეგად ტექნოლოგიური ფაკულტეტზე წარმატებით გაიარა აკრედიტაცია არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამამ. ჩატარდა კონკურსი აკადემიური პერსონალის ასარჩევად. ფაკულტეტზე მიმდინარეობს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების პროცესი. აუდიტორიებში სრულად შეიცვალა ინვენტარი, ჩატარდა მიმდინარე სარემონტო სამუშაოები და შენობაში გაყვანილი იქნა გათბობის სისტემა.

**— ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით, რამდენად შეივსო კონტინგენტი?**

— 2013 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით ძალიან კმაყოფილები ვართ. ფაკულტეტის ხუთ საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტების მიერ პირველ ნომრად არჩევის რაოდენობის მიხედვით ჩვენთან უკვე შექმნილი იყო საკონკურსო მდგომარეობა. ამიტომ, ცხადია, გამოცხადებული ადგილების რაოდენობა სრულად შეივსო განსაკუთრებით დიდი კონურსი იყო მშენებლობის და აგრონომიის საგანმანათლებლო პროგრამებზე. აბიტურიენტების მხრიდან დიდია მოთხოვნა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზეც.

ამჟამად მიმდინარეობს განაცხადების მიღება ოთხ სამაგისტრო, ორ სადოქტორო და მეოთხე საფეხურის შვიდ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

როგორ ზემოთ აღვნიშნეთ 2013 წლის ეროვნული გამოცდების შედეგებს ჩვენ ვაფასებთ ძალიან კარგად. თუმცა გამოცდებისათვის ამ შედეგების მიღევას წინ უსწრებდა მთელი რიგი ღონისძიებები, კერძოდ 2013 წლის ეროვნული გამოცდებისთვის უნივერსიტეტმა თავიდანვე დაიწყო სერიოზული მზადება. უნივერსიტეტში რექტორის ბრძანებით შეიქმნა სამოქმედო ჯგუფი, რომელმაც დასავლეთ საქართველოს აბიტურიენტების დიდ ნაწილს გააცნო მათთვის შექმნილი სპეციალური პროგრამები, მოუთხრო უნივერსიტეტის ცხოვრების და იმ სიახლეების შესახებ, რომლებიც უშუალოდ მათთვის შეიძლებოდა ყოფილიყო საინტერესო. ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოს განსაკუთრებულ დამოკიდებულებას საინჟინრო და აგრარული მიმართულების სპეციალობების მიმართ, კერძოდ მშენებლობისა და აგრონომიის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები ისწავლიან უფასოდ. ასევე, გასათვალისწინებელია, ჩვენი ფაკულტეტის დიდი ხნის წარმატებული ტრადიციები საინჟინრო და აგრარული მიმართულებით მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში.

**— ფაკულტეტი მნიშვნელოვანი სიახლით ხომ არ ხვდება სასწავლო წელს?**

ფაკულტეზე ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე ის არის, რომ ჩატარდა აკადემიურ თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი, რომლმაც მოგვცა საშუალება აგვერჩია მაღალ კვალიფიციური პროფესორები. ამასთან დაკავშირებით მინდა ვისარგებლო შემთხვევით და არჩეულ პროფესორებს მივულოცო კონკურსში გამარჯვება.

ტექნიკისა და ბაზრის ცვალებად მოთხოვნებს ჩვენ სისტემატიურად უნდა ავუწყოთ ფეხი. ამ მიზნით ფაკულტეტზე უცხოელ სპეციალისტებთან ერთად აქტიურად მიმდინარეობს მართვის ავტომატიზირებული სისტემების ახალი თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების SAP2000, MATCAD, MATLAB-ის დანერგვა.



ფაკულტეტი ასევე აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა კომპანიებთან მემორანდუმის ფარგლებში, რის შედეგად მოხერხდა საკმაო რაოდენობის სტუდენტის დასაქმება. დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ თანამშრომლობისათვის კომპანიებს: შპს ?ჭარსპეცპროექტი; შპს ?ნაგი; შპს ?ონოლითი 2005; შპს ?ათუმის ნავთობტერმინალი; შპს ?ათუმის ავტოტრანსპორტი; კომპანია ?ნტერტექ კალებბრეტის საქართველოს ფილიალი; შპს ?ათუმის სამშენებლო კომპანია, შპს BWC, შპს „ორბი ჯგუფი", კომპანია „ბათუმის წყალი", შპს „ჯიემსი გორგია", კომპანია GIMG, ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი, შპს ARCH-Style, კომპანია „სილქნეტი" და სხვა კომპანიებს სტუდენტთა დასაქმების პროგრამაში აქტიური მონაწილეობისათვის.

**— ფაკულტეტის დეკანის სამომავლო მიზნები გეგმები და ამოცანები...**

— ცხოვრება თავის ტემპებს და თავის მაღალ კრიტერიუმებს გვთავაზობს. საინჟინრო და აგრარული დარგი საქართველოში სახელმწიფო პრიორიტეტთა რიგშია. შესაბამისად, ჩემი, როგორც ფაკულტეტის დეკანის უპირველესი მიზანია, ყოველგვარი პირობა შევქმნა დარგის განვითარებისათვის, ტექნოლოგიური მიმართულებით საგანთა სწავლების მეთოდების გაუმჯობესებისათვის, სტუდენტთა სწავლის პირობების უზრუნველყოფისათვის, კვალიფიცირებული კადრებით ფაკულტეტის შევსებისათვის. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეს მხოლოდ გუნდური ძალისხმევითაა შესაძლებელი და რომ უნივერსიტეტის ყოველი ფაკულტეტის კოორდინირებული მუშაობის შედეგად, ყველა დასახული მიზანი დროულად და ხარისხიანად იქნება მიღწეული.

# ტურიზმის ფაკულტეტი ახალ სასწავლო წელს ახალი სამომავლო გეგმებით ხვდება



ახალი სასწავლო წელი ჩვენთვის მუდმივად ახალი გამოწვევებისა და სიახლეების ძიების წელია. დღეს საკმაოდ ახალგაზრდა ფაკულტეტს მიღწევებით, უკვე შეუძლია ვიამაყოთ.

ყველაფერი კი 3 წლის წინ დავიწყეთ, როდესაც ტურიზმის ფაკულტეტი შეიქმნა. გადაწყვეტილების მიღება რეგიონის განვითარების სტრატეგიულმა გეგმამ და ტურიზმის პოტენციალის გაზრდის აუცილებლობამ განაპირობა. იმთავითვე ცხადი იყო ახლად შექმნილი ფაკულტეტის მიზანი - ტურისტული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა და ტურიზმის დარგისათვის მაღალკვალიფიციური, შესაბამისი კომპეტენციების მქონე სპეციალისტების მომზადება. შემუშავდა და დაინერგა თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი საბაკალავრო პროგრამა, სწავლება დაიწყო თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. ლექციების წასაკითხად ადგილობრივ პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად მოვიწვიეთ უცხოელი ლექტორები და ექსპერტები. გარდა ამისა, ფაკულტეტმა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად, ინტენსიურად დაიწყო მუშაობა უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან და სხვა საერთაშორისო სასწავლო-საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გასაღრმავებლად.

ფაკულტეტი აქტიურად თანამშრომლობს და გაცვლით პროგრამებს ახორციელებს ტელემარკისა (ნორვეგია), ებერსვალდის უნივერსიტეტებთან (გერმანია), ჰამბურგის ევროპის ბიზნესკოლეჯთან და შვერინის ბალტიკის ტურიზმის კოლეჯთან(გერმანია).

სხვადასხვა უნივერსიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმის საშუალებით უკვე ამოქმედდა ერთობლივი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამები, ინოვაციებისა და სამეწარმეო სწავლების სფეროში შემუშავდება კურიკულუმი.



გაცვლითი პროგრამებით სწავლების ხარისხის ამაღლდა, მომზადდა მაღალკვალიფიციური სპეცილისტების და შესაბამისად მათი დახმარებით ტურისტული პოტენციალი გაიზარდა. სტაჟირება გავლილი პროფესორ-მასწავლებლების ძალისხმევით საგანმანათლებლო პროგრამები მთლიანად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

მჭიდრო თანამშრომლობა გვაქვს გერმანიისა და ამერიკის უნივერსიტეტებთან. დღეს-დღეისობით მოწვეული გვყავს და ფაკულტეტზე პედაგოგიურ საქმიანობას ეწევიან იქაური სპეციალისტები.

სერიოზული პრეტენზია გვაქვს ვიყოთ პირველები. ჩვენი მიზანია სტუდენტებს მივცეთ ტრანსფერული ცოდნა, რათა შეძლონ საზღვარგარეთის ქვეყნებში დასაქმება.

აქ ყველა პირობაა იმისათვის, რომ მომზადდეს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები. კერძოდ, გამოიყენება თანამედროვე მენეჯმენტის სისტემა. ტურიზმის ფაკულტეტმა, სასტუმროს მენეჯმენტის მაღალხარისხოვნად სწავლებისათვის შეიძინა სასტუმროების მართვის პროგრამა. ეს არის კომპანია „Micros-Fidelio"-ს პროგრამული სისტემა „Opera". ამ სისტემით სარგებლობენ სასტუმროების ისეთი ცნობილი ბრენდები, როგორებიცაა: „შერატონი", „რედისონი", „ჰილტონი" და სხვა. სასტუმროს მენეჯმენტის თანამედროვე სისტემის სწავლება გათვალისწინებულია „ტურიზმის სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამით და მისი მიზანია, სასტუმროს ინდუსტრიისათვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება.




შეძენილი გვაქვს რესტორნის მენეჯმენტის პროგრამული სისტემა. გარდა ამის ფაკულტეტზე მოქმედებს ტურისტული სააგენტო - „UNItour"-ი. სტუდენტებს ადგილზე შეუძლიათ დაეუფლონ ტუროპერირებას.

ტურიზმის ფაკულტეტის წარმატების საფუძველს წარმოადგენს: ტურიზმის ინდუსტრიის ორგანიზაციებთან საქმიანი ურთიერთობა ღია დიალოგის წარმართვა, რაც პრაქტიკის მოთხოვნებთან სასწავლო პროგრამების მუდმივი შეთანაწყობის საშუალება იქნება.

ფაკულტეტის ხელშეწყობით საზაფხულო პროგრამით დასაქმებულია 30 სტუდენტი სასტუმრო - Sheraton Batumi-ში, ხოლო 25 სტუდენტი მუდმივად დასაქმდა სასტუმრო - Radisson Blu Hotel, Batumi-ში. სტუდენტები პრაქტიკას გადიან გერმანიის ტურიზმის ინდუსტრიის ორგანიზაციებში.

სტუდენტები დასაქმებული არიან ტურისტულ სააგენტოებში და ტურიზმის ინდუსტრიის მარკეტინგულ კვლევებში.

მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ახალგაზრდა ვართ, უნდა აღინიშნოს, რომ მოთხოვნათა მიხედვით ის, დღეს, ერთ-ერთი ყველაზე კონკურენტუნარიანი ფაკულტეტია საქართველოში. და ეს რა თქმა, უნდა გვახარებს. გამოცხადებულ 120 ადგილზე პირველადი განაცხადებით თუ ვიმსჯელებთ ჩვენთან სწავლის სურვილი 360 აბიტურიენტმა გამოთქვა. ჯამში მსურველთა რიცხვი 3600 შეადგენდა. ამდენად, მაღალი კონკურენციის პირობებში მხოლოდ პირველმა 120 მოიპოვა სწავლის უფლება. მათგან 75% სხვადასხვა რაოდენობის გრანტითაა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მოტივაცია საკმაოდ მაღალია მომავალ სტუდენტებს შორის.

ფაკულტეტი ჩვეულ რიტმში აგრძელებს ინოვაციურ საქმიანობას და სტუდენტთათვის მაქსიმალურად ცდილობს უზრუნველყოს მომხიბვლელი სასწავლო გარემო.

**როსტომ ბერიძე,**
**ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი,**
**სრული პროფესორი**

# შეშლილი პროფესორის ჭკვიანი პერსონაჟები და ზოგიერთი სადღეისო პრობლემა სამომავლოდ

რეცენზიებს იშვიათად ვწერ, მხატვრული ლიტერატურის შესახებ კი არასოდეს დამიწერია გამონაკლისი ბატონი პაატა ჩაგანავას შეშლილი პროფესორია, რომელიც მიმდინარე წელს, თბილისში, გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა. ამ, თხუთმეტი მოთხრობისგან შემდგარი წიგნის პირველი მოთხრობის წაკითხვისთანავე გამიჩნდა აზრი, მასზე ჩემი დამოკიდებულების შესახებ საჯაროდ მეთქვა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჩემს (ჩვენს) კოლეგას პროფესორ (არა შეშლილ) პაატა ჩაგანავას გამხნევება რომ დასჭირვებოდა ამ სხვა ამპლუაში (იგი, ეკონომიკის დარგის პროფესორია), მე (ჩვენ) ეს უნდა გაგვეკეთებინა, მხარზე ხელი წამოგვერტყა და შეგვეგულიანებია. თუმცა, თავიდანვე შევნიშნავ, რომ ბატონ პაატას არც ამ სფეროში დასჭირვებია ავანსის ტიპის ქებადიდება და პრეზენტაციაიუბილეებისთვის განკუთვნილი შესანიშნავიადიდებულიას მსგავსი მორიგე სიტყვები (თუ რატომ, ამაზე ქვემოთ) და მეორეც, წმინდა ადამიანურად ჩემთვის საინტერესო იყო ჩემ (ჩვენ) გვერდით მყოფი ეკონომიკის დარგის პროფესორისაგან (არა შეშლილისაგან?!) მხატვრულ ლიტერატურაში ძალის მოსინჯვა და ჩემს (ჩვენს) უნივერსიტეტში კიდევ ერთი ახალი, ლამაზი და საამაყო ფაქტის დაბადება გვყავს პროფესორი ეკონომისტი, რომელიც მხატვრული ლიტერატურის დარგშიც ირჯება, წერს საკმაოდ კარგ მოთხრობებს.

როგორც მოგახსენეთ, შეშლილი პროფესორი თხუთმეტი მოთხრობისგან შემდგარი კრებულია. თითოეული მოთხრობა თანამედროვე კაცობრიობის გლობალურ პრობლემებს ეხება, თითო მოთხრობა - თითო პრობლემას. თითოეული მოთხრობის კითხვისას იგრძნობა, რომ ავტორმა იცის რასაც წერს, არა მხოლოდ იცის, გრძნობს კიდეც, სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა იმ ურთულეს პრობლემებზე ასე მარტივად საუბარი, ხვალ რომ გველის, თუ, რასაკვირველია, რაღაც-რაღაცები არ შევცვალეთ ჩვენი ცხოვრების წესში. ცნობილია, სათქმელს ამარტივებს არა იმდენად სათქმელის ცოდნა, რამდენადაც მისი განცდა, მისით შინაგანი წვა. ჩემი აზრით, ბატონ პაატა ჩაგანავასთან ეს მოხდა.

ჩემი წერილის სათაურში ვამბობ რომ, წიგნი შეშლილი პროფესორი ჭკვიანი პერსონაჟებითაა დაკომპლექტებული და რამდენიმე სადღეისო(სამომავლოდ) პრობლემას ეხება-მეთქი. მოდით, უფრო ახლოს გავეცნოთ შეშლილი პროფესორის ჭკვიან პერსონაჟებს და მასში დასმულ ზოგიერთ პრობლემას.

პირველი მოთხრობა რუბინ კოშკას ტელეპორტები, გვ. 3-20 (აქაც და ქვემოთაც გვერდები მითითებულია წიგნიდან - პაატა ჩაგანავა, შეშლილი პროფესორი, თბ., 2013), ცდილობს აგვიხსნას, თუ რატომ და როგორ შეიძლება არსებობდეს დაწყევლილი ადგილები, ჯადოსნური ტყეები, საიდუმლო გვირაბები, შამბალას ქვეყანა ტიბეტში და სხვა ისეთი ადგილები, სადაც ადამიანები იკარგებიან ან სხვა სამყაროში ხვდებიან. ავტორი აქაც და წიგნის სხვა მოთხრობებშიც, ამა თუ იმ პრობლემის ახსნისთვის ირჩევს სამეცნიერო ფანტასტიკას, ამ ჟანრის შერჩევა გასაგებია, ასე უფრო იოლად შეიძლება ახსნა პრობლემა, მაგრამ სირთულე ისაა, რომ ეს არ არის ნებისმიერი ფანტაზია, ეს სამეცნიერო ფანტაზიაა, რაც სამეცნიერო პრობლემატიკის, მინიმუმ, საფუძვლების ცოდნას მაინც მოითხოვს. სასიამოვნოა, რომ ბატონი პაატაა, თავის წიგნში დასმულ პრობლემებს, იცნობს და იცის ამ პრობლემების შესახებ სამეცნიერო ვარაუდები. ისე, კაცმა რომ თქვას, ავტორისეული ფანტასმაგორია ფანტაზიაა იმდენად, რამდენადაც, დღეს მისი განხორციელება შეუძლებელია, თორემ ხვალ რატომ არ შეიძლება შეიქმნას, მაგალითად, ლინზა, რომელიც ტვინის ჯერ კიდევ გამოუყენებელი ნაწილების აქტივიზაციას მოახდენს? (ხომ გამოიგონეს მიკროსკოპი და ტელესკოპი, რომლებმაც დაგვანახეს ის, რასაც მანამდე ვერ ვხედავდით). ჰოდა, სულაც არ უნდა იყოს ფანტაზია, რომ ჩვენი აღქმის და ხედვის უნარი ისე გავაძლიეროთ, რომ დავინახოთ სამყარო მთელი თავისი სრულყოფილებით და სხვა სამყაროებში გადასასვლელებით. სწორედ, ამ საინტერესო პრობლემის, უფრო საინტერესო სიუჟეტით, გადმოცემას ეძღვნება ჩვენ მიერ ნახსენები პირველი მოთხრობა.




თუ გინდათ, რომ პლანეტებზე ადამიანებისთვის ახალი საცხოვრებელი გარემოს კოლონიების დასაზვერად გამგზავრებულ კნისისა და ზორსის ერთად იმოგზაუროთ, ჰაერის ნაკადზე ბალანსირებით მოსიარულე(მოფრინავალე) არსებებს შეხვდეთ, წაიკითხეთ მოთხრობა ?ბეზარი აბორიგენები(გვ.21-26) და მიხვდებით, რომ ეს პლანეტა (სამყარო) მხოლოდ ჩვენი, ადამიანების არ არის, აქ სხვებიც ცხოვრობენ და მათაც აქვთ უფლება დაიცვან და უერთგულონ მას.

2015 წლის 23 თებერვლის 155-ე ნომერში, გაზეთ ?ჭარის ფურცლებზე გამოქვეყნებული ორი შეშლილი პროფესორის, პაატა აროშიძისა და პაატა ჩაგანავას უცნაური საქციელის (გვ.31) შესახებ შეიტყობთ მოთხრობაში ?პოკალიფსი ხვალ(გვ.26-31). სხვათა შორის, ამ მოთხრობაში, პაატა აროშიძის მიერ გამოგონებული დროის მანქანით იმოგზაურებთ 2100 წლის ზღვის სანაპიროებიან ურეხში. პრობლემა? გაუფრთხილდით ბათუმის სანაპიროს, თუ არ გინდათ, თქვენმა შთამომავლებმა 2100 წელს შეზლონგები და ქოლგები ზღვის სანაპიროზე, ურეხში, გაშალონ!

ფრთხილად ადამიანებო! გიყვარდეთ, გაუგეთ, შეამჩნიეთ ერთმანეთიო, გვაფრთხილებს მოთხრობა არშეხვედრა კოსმოსში (გვ.32-38), რომლის მიხედვითაც, უცხოპლანეტელთა ხომალდი ისე შევიდა, გაიარა და გავიდა ჩვენი პლანეტელების ხომალდში, რომ ვერც კი შენიშნა. მიაქციეთ ყურადღება შეხვდა, გაიარა მასში, მაგრამ ვერ შენიშნა. ვერ შენიშნეს ვერც ხელსაწყოებმა. იქნებ, რომ შევნიშნოთ, თვალზე და ხელსაწყოებზე მეტად გული გვჭირდება? სამყაროში არის ბევრი რამ, რასაც ვერ ვხედავთ, ბევრი რამ, რაც გვერდს ჩაგვივლის და ვერ ვამჩნევთ (გვ.38). ეს უგულისყურობა და უგულისთვალობა, ჩვენი ეპოქის პრობლემაა. ყოველ შემთხვევაში, იმის გაცნობიერება მაინც, რომ ადამიანმა აქცენტები გულიდან თავში გადაიტანა, ჩვენს ეპოქას ეკუთვნის, და სასიამოვნოა, რომ ბატონი პაატა, თავისი მოთხრობით, გარკვეული სიმბოლური მინიშნებებით, ეხმიანება ამ პრობლემას, არა მხოლოდ სიცოცხლის ჩვენთვის უცნობ ფორმებთან მიმართებაში, არამედ ყოველდღიურ ყოფით დონეზეც წავალ, ცოლს შევურიგდები (გვ. 38).

რა ხდება ბარცხანაში, ილიას ძეგლთან, ჩაქვში, ლეღვაში, ლესაში, როცა ყველა გენმოდიფიცირებული მცენარე გადავიდა უკუფოტოსინთეზის პროცესზე (გვ.54) და ჟანგბადის ნაცვლად ნახშირორჟანგის გამოყოფა დაიწყო, წაიკითხავთ შესანიშნავ მოთხრობაში ევოლუცია (გვ. 48-59).

მოთხრობა ?უტკრების გადაფრენა(გვ.59-68), ალბათ, ყველაზე ძლიერი მოთხრობაა კრებულში, იგი ღვთისკენ და ქართველობისკენ მობრუნებას ეხება (თუ, უკვე არ დავაგვიანეთ - ეს მოთხრობის პათოსია). მიაქციეთ ყურადღება: ყველამ ევროპული ფუტკარი მოაშენა, უფრო მშვიდები არიან და ყველანაირ გარემოს ეჩვევიან. სვანური ფუტკარი კი ჭირვეულია სხვასთან არ ჯვარდება და სხვაგან არ შენდება(გვ. 60). ყველგან შემჩვევი ევროპელების გავლენით გაჯორჯებული და გამერებული გიორგი და მარიამი, მორიდებულად, მაგრამ მაინც იბრუნებენ თავიანთ ქართულ სახელებს და ჯვრის დასაწერად მყინვარწვერზე, სტეფანწმინდის ტაძარში (ეკლესია და მღვდელი მხოლოდ აქ შემორჩენილა !!!) მიდიან. მათი გადაწყვეტილება იცხოვრონ იქ, სადაც ლოცულობენ, გულწრფელად სჯერათ ღვთის, მიწისძვრა არ ხდება და ფუტკარი მუშაობს, ირაციონალურ გადაწყვეტილებად მიაჩნია ჯოუზი ბარათაშვილს. თუმცა, მოთხრობიდან ვიგრძენი, რომ სახელის შეცვლით, მამა-პაპათა ცხოვრების წესის დავიწყებითა და ქართველობისაგან მოწყვეტით გაევროპულობისკენ მიმავალ ჯოუზის, ეჭვი ეპარება ამ გზით მიზნის მიღწევაზე. ევროპას, ქართველობადაკარგულები კი არა, ქართველი ევროპელები ვჭირდებით.

მარსელების ფეხბურთით დაინტერესებას, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში საქართველოს ნაკრების მიერ არგენტინის ნაკრების დამარცხებას და საქართველოს მსოფლიო ჩემპიონობით ფეხბურთში მოგვრილ სიხარულს გაიზიარებთ მოთხრობით ოცნების გუნდი (გვ.74-80). ამასთან, ამ მოთხრობაში ამოიკითხავთ, თუ რა თვისებებია საჭირო იმისათვის, რომ მსოფლიოს ჩემპიონი გახდე ფეხბურთში.

პიტკინასა და თემურას მიერ ნაშველებ უცხოპლანეტელს გაეცნობით მოთხრობაში და გამორიყა ზღვამ (გვ.81-94), რომელიც ავარიული დაშვებისას, შუახევიდან შუბნის მიმართულებით, მდინარის პირას, მფრინავი თეფშიდან გადმოვარდა.

ფორმულას, რომელიც ტოტალიზატორში მაგარ ფულს მოგაგებინებთ (თუ ჭკვიანად იქნებით ეს ფული შეიძლება შეგრჩეთ კიდეც), გაეცნობით მოთხრობაში საშიში ფორმულა (გვ.95-103).

ღობემონგრეულ ეზოში მომღერალი ყვავილების გამგები ბათუმელი პროფესორის (გვ.104-110) ჩვენებით, თავისუფლების იდეასა (ყვავილები მხოლოდ ღობემონგრეულ ეზოში მღერიან, შემოღობილში - არა) და მის შესაძლებლობებზე გველაპარაკება ავტორი.

მოთხრობა უცნაური სოფელი(გვ.111-131) პრობლემების სიღრმითა და დიაპაზონით კრებულის ერთ-ერთი გამორჩეულია. იგი ტექნიკური ევოლუციის პრობლემებს ეხება და გვიხატავს იმ სამწუხარო რეალობას, რომ ტექნოლოგიური გაძლიერების, საპირწონედ, დაჩიავეული და ამორალური ადამიანი შეგვრჩა.

ერთი ჭიქა ზეთის დამატების, 18 წლამდე რობოტების სამუშაოსაგან გათავისუფლებისა და სასწავლებლად გაგზავნის, სამუშაო დროის შემცირების მოთხოვნით რობოტების გაფიცვას გაეცნობით მოთხრობაში უდაო არგუმენტები (გვ. 132-152). ამავე მოთხრობაში გაიგებთ ამერიკა-რუსეთის 2215 წლის ურთიერთობებს, საგალაქტიკო (და არა საერთაშორისო) კოდექსის მუხლებსა და ყველა დროისათვის გამოსადეგ იმპერატიულ მაქსიმას: ყველას და ყველა ვითარებაში ხელი გაუმართეთ, თორემ სამაგიერო არ დააყოვნებს.

ზემოთ ვთქვი, ყველა მოთხრობა დამოუკიდებელი პრობლემაამეთქი და ეს მართლაც ასეა, მე ყველა პრობლემის გახსნაზე ვერ ვისაუბრებ, ამის არც ადგილია (მხეველობაში საგაზეთო ფორმატი მაქვს) და ეს ჩემს შესაძლებლობასაც აღემატებოდა. თანაც შეშლილი პროფესორის მომავალი მკითხველის ხიბლს ვუფრთხილდები. შევეცადე, ძირითადად შინაარსზე მელაპარაკა, ისიც, ზედაპირულად. თუმცა, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს წიგნი ჩვენც(დიდებმაც) უნდა წავიკითხოთ და ბავშვებსაც უნდა წავაკითხოთ, განსაკუთრებით მე-9 მე-12 კლასელ ბავშვებს, მათი ორიენტაციაა აუცილებელი წიგნში დასმულ პრობლემებზე, მათი ცნობიერების დამუხტვაა საჭირო იმ ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, ზოგადად ფობიური თუ მომხვეჭლური პრობლემებით ჩვენს პლანეტას რომ სჭირს. პლანეტას, რომლის ბირთვად მოაზრებულ ჰომოცენტრისტული მისწრაფებებით გათამამებულ ადამიანს შველა სჭირდება. შველა იმ სიშმაგისგან, თავის თავს რომ მოუტანა ადამიანმა და რომელიც ასე მომეტებული სუიციდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზთაგანია (როგორც ჩანს, მთლად უსაფუძვლო არ უნდა იყოს ე.წ. ?ადიკალური ეკოლოგების მოსაზრებები, რომლის მიხედვითაც თავად ადამიანი უნდა გადაშენდეს, რომ გადარჩეს პლანეტა). პაატა ჩაგანავას მოთხრობები ამგვარი ადამიანის საშველად წარმართული ფიქრია. იგი, თავისებური, მე ვიტყოდი, საკმაოდ ორიგინალური, გზით, ცდილობს გვიჩვენოს ჩვენი (დიდებისთვის) უკვე არაერთგზის განცდილ პრობლემათა სიმწვავე და ძირები, რომლის გამოსწორებაც (თუ არ დავიგვიანეთ! - ესეც ავტორის პათოსია), ჩვენი მომდევნო თაობების საქმეა, ამიტომ უნდა წაიკითხონ მათ ეს წიგნი (ვურჩიოთ წაიკითხონ, ცოტაც რომ დავაძალოთ, არა უშავს!), თანაც წიგნად უნდა წაიკითხონ და არა ინტერნეტწიგნად. ინტერნეტიდან სხვა თემებზე გადასვლის იმდენი ცდუნება და თავისუფლების სახელით იმდენგვარი გამოცდილების შეძენის შესაძლებლობაა, ბატონი ჩაგანავას მოთხრობების ბოლომდე ინტერნეტვერსიით ჩაკითხვა და მით უფრო, გააზრება საეჭვოდ მიმაჩნია.

სასიამოვნოა, როცა წიგნში შენს ნაცნობ ადგილებსა და პერსონაჟებს ხვდები - ბათუმი, ურეხი, ჩაქვი, ბარცხანა, ილიას ძეგლი, მასთან გაშლილი კარვებით, ლეღვა, რესპუბლიკური საავადმყოფო, შუახევი, შუბანი, პაატა აროშიძე, პაატა ჩაგანავა და სხვა. სასიამოვნოა, იმიტომ, რომ ამ ადგილებით შენც ( მკითხველო) თავს მოთხრობების პერსონაჟად განიცდი.

რამდენიმე სურვილიც მინდა გავუზიარო ბატონ პაატას. ბატონო პაატა, კარგი იქნებოდა წიგნს ანოტაცია, შესავალი ან წინათქმა ან რაღაც ისეთი ჰქონოდა, წინასწარ ინფორმაციას რომ მოგვაწოდებდა წიგნის შესახებ. სხვანაირად, იმ თეატრივით გამოვიდა, რომელსაც არც აფიშა აქვს, არც ვესტიბიული და პირდაპირ დარბაზში, სპექტაკლზე რომ ამოყოფ თავს.

ბატონო პაატა, წიგნის გარეკანიც და თითოეული მოთხრობაც საინტერესო ნახატებითაა გაფორმებული. თითოეულ მოთხრობას, მისი არსის გამომხატველი, ნახატი ახლავს. ნახატები გვეხმარება აზრის გამოტანაში. ეს შესანიშნავია და წიგნს ღირსებას ჰმატებს, მაგრამ წიგნში ვერსად მივაგენი ვისია ეს ნახატები და დავასკვენი, რომ ნახატებიც თქვენ გეკუთვნით. ე.ი. ხატავთ კიდეც, ვფიქრობ, არანაკლებ საინტერესო ნახატები გექნებათ. წიგნში რატომ არსად არ უთითებთ, რომ ნახატებიც თქვენია? მომდევნო გამოცემაში (მიმაჩნია, რომ ეს აუცილებლად მოხდება) კარგი იქნება, თუ ჩემს ამ რეკომენდაციებს გაითვალისწინებთ, ბატონო პაატა.

ავტორი ხასიათდება მაღალი ერუდიციითა და ემოციით, ნიჭიერია, ბევრი უფიქრია, ზოგიერთი პრობლემის დეტალებშიც კი ერკვევა, უყვარს ადამიანები, ფანტაზია, ბათუმი, სამყარო, თავისი საქმე. წარმატებები ვუსურვოთ ბატონ პაატას ცხოვრებასა და შემოქმედებაში.

**მურმან გორგოშაძე,**
**სრული პროფესორი**
**2013 წლის 3-10 აგვისტო**
**თბილისი-ბათუმი**

# სისხლის სამართლის კანონმდებლობა ძირეულ ცვლილებებს საჭიროებს

**გვესაუბრება სამართლის დოქტორი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი პროკურორი, აჭარის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის ყოფილი თავმჯდომარე, ამჟამად რეზერვი მოსამართლე, ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორი გივი აბაშიძე, რომელსაც სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობის ოცდაათ წელზე მეტი ხნის გამოცდილება აქვს.**

**სწორედ მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილებისა და სისხლის სამართლის კანონმდებლობის თეორიული ასპექტების ანალიზის საფუძველზე ის თვლის, რომ დროა ქვეყანაში გარკვეული ფორმით მოხდეს სისხლის სამართლის ზოგიერთი ნორმის ლიბერალიზაცია.**

„უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით კი 2004 წლიდან, საქართველოში დეკლარირებული იქნა მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არაერთი საკანონმდებლო ცვლილება იქნა განხორციელებული, რამაც აგრესიული საკანონმდებლო ხასიათი მიიღო და აშკარად ეტყობოდა საკანონმდებლო დილეტანტიზმის ხელი.

ბევრი საკანონმდებლო ცვლილება თუ შესწორება, აშკარად უცხო ქვეყნის კანონმდებლობასთან მიბაძვით იყო გამოწვეული და ჩვენს კანონმდებლობაში მისი გადმოტანის დროს ნაკლებად იყო გათვალისწინებული ქართული სამართლებრივი რეალობა. ხშირად სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები შედიოდა კონკრეტულ პირზე, საქმეზე მოსარგებად და იმდროინდელი ხელისუფლებისათვის ხელსაყრელი კონკრეტული ვითარების შესაბამისად.

როგორც აღვნიშნეთ, ზოგჯერ ეს ნორმები აშკარად აგრესიულ ხასიათს ატარებდა, რაც გარკვეულად გამომდინარეობდა ცნობილი, ე. წ. „ნულოვანი ტოლერანტობიდან“, რაც ქვეყნის ხელისუფალთა თითქმის ყოველდღიურ მოწოდებებში გაისმოდა.

არაადამიანურად გამკაცრდა სასჯელები, შემოტანილი იქნა ქართული მენტალიტეტისათვის მიუღებელი ნორმები, განსაკუთრებით კი დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელთა შეკრების წესი. ამავე წლებში აბსოლუტურად დაბალი იყო სასამართლოს დამოუკიდებლობა, მკვეთრად გაიზარდა პატიმართა რაოდენობა.

სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელების დროს კანონმდებლის, კონკრეტულად კი იმდროინდელი ხელისუფლების მიერ საერთოდ არ ყოფილა გათვალისწინებული ქართული საზოგადოების აზრი, მათი მოთხოვნა, ქვეყანაში არსებული რეალური სამართლებრივი მდგომარეობა და რაც მთავარია მათი მიღების დროს აშკარად იყო უგულებელყოფილი ამ დარგის მეცნიერების, პრაქტიკოსი იურისტების და საერთოდ პროფესიონალების აზრი და გამოცდილება.

ამგვარი საკანონმდებლო ცვლილებებით თუ როგორი მძიმე რეალობის წინაშე დადგა ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა და მთლიანად ქართული საზოგადოება, ამაში ქვემოთ მოყვანილი ზოგიერთი საკანონმდებლო ნორმების ცვლილებების და ჩვენს სინამდვილეში მისი განხორციელებით დამდგარი მძიმე შედეგების ანალიზით დავრწმუნდებით.

განსაკუთრებით მიუღებელი იყო საკანონმდებლო თვალსაზრისით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლში განხორციელებული ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნას დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს.

ამ მუხლის ძველი ვარიანტით გათვალისწინებული იყო სასჯელთა როგორც შთანთქმის, ასევე შეკრების პრინციპი. სწორედ აგრესიული საკანონმდებლო დილეტანტიზმის გამოვლინება იყო ის, რომ 2006 წლის 29 დეკემბერს აღნიშნულ მუხლში შეტანილი ცვლილებით დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისას დაწესდა მხოლოდ სასჯელთა შეკრების პრინციპი, ხოლო სასჯელის შთანთქმის პრინციპი საერთოდ გაქრა კანონმდებლობიდან. ამან კი ამ წლების განმავლობაში ათასობით დასჯილ პირთა მიმართ მკაცრი და არასამართლიანი, დამნაშავის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და დამნაშავის პიროვნების აშკარა შეუსაბამო სასჯელების დანიშვნა გამოიწვია.

რა თქმა უნდა, ეს ნორმა მიმდინარე წლის 14 აპრილს სს კოდექსში განხორციელებული გონივრული და დროული შესწორებით^შეიცვალა და კანონმდებელი ფაქტიურად ამ მუხლის თავდაპირველ ნორმას დაუბრუნდა. ამჟამად დანაშაულთა ერთობლიობის დროს ძირითადად გათვალისწინებულია უფრო მკაცრი სასჯელის ნაკლებად მკაცრი სასჯელით შთანთქმის, ხოლო გამონაკლის, კერძოდ დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში, სასჯელთა მხოლოდ ნაწილობრივი შეკრების პრინციპი და ისიც ალტერნატიული სასჯელის სახით.

რაც შეეხება განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისას, ახალი ცვლილების მიხედვით, ალტერნატიული სახით გამოიყენება როგორც სასჯელთა ნაწილობრივი ან მთლიანი შეკრების, ასევე შთანთქმის პრინციპი.

სს კოდექსის 71-ე მუხლი ითვალისწინებს პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, რაც ძირითადად დამოკიდებულია დანაშაულის სიმძიმეზე. კერძოდ, ამავე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ პირი ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუ გავიდა ექვსი წელი ნაკლებად მძიმე, ათი წელი მძიმე და ოცდახუთი წელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენიდან.

2006 წლის 25 ივნისს ამ მუხლის პირველ ნაწილში შეტანილი ცვლილების მიხედვით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე-$342^{1}$ მუხლებით (სამოხელეო დანაშაული) გავალისწინებული დანაშაულისათვის, თუ ისინი არ მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისათვის დაწესდა 15 წელი.

ჩვენი აზრით გაუგებარია კანონმდებლის ამგვარი პოზიცია. საინტერესოა, აღნიშნულ მუხლში ამგვარი ცვლილების შეტანის დროს რა კრიტერიუმით ისარგებლა.

მინდა კარგად დავუკვირდეთ ამ ცვლილების შინაარსს, კარგად გავაცნობიეროთ ამ ნორმის მოთხოვნა. სამართლებრივად რომ განვმარტოთ ამ ცვლილების უაზრობა, საჭიროა მოკლედ გავაკეთოთ ამ საკანონმდებლო ცვლილების ნორმის ანალიზი.

სს კოდექსის 332-ე-$342^{1}$ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ძირითადი ნაწილი განეკუთვნება ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულთა, ხოლო ზოგიერთი ამ მუხლების პირველი და მეორე ნაწილები კი - მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კეტეგორიას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისათვის დაწესებულია შესაბამისად ექვსი და ათწლიანი ხანდაზმულობის ვადები. აქედან გამომდინარე, გაუგებარია რატომ დაწესდა მაინცდამაინც მხოლოდ სამოხელეო სფეროს, თან იმავე სიმძიმის დანაშაულზე ხანდაზმულობის ვადა 15 წლის ოდენობით.



როგორი მოსაწონია ამგვარი საკანონმდებლო ცვლილება ძვირფასო მკითხველო მაშინ, როცა, თუ პირმა ჩაიდინა სს კოდექსის ნებისმიერი სხვა მუხლით გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაული და ის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდება შესაბამისად ექვსი ან ათი წლის, ხოლო სს კოდექსის 332-ე-$342^{1}$ მუხლებით გათვალისწინებულ იმავე კატეგორიის დანაშაულის ჩადენისათვის კი მხოლოდ თხუთმეტწლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ.

ჩვენი აზრით, სასწრაფოდ უნდა მოხდეს სს კოდექსის 71-ე მუხლში შესაბამისი ცვლილების შეტანა და ამ მკაცრი საკანონმდებლო ნორმის შეცვლა.

საქართველოს სს კოდექსის მე-17 მუხლით გათვალისწინებულია დანაშაულის რეციდივი, რაც ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას.

ამ მუხლის ძველი რედაქციით, კერძოდ მე-2 და მე-3 ნაწილებში კონკრეტულად იყო განსაზღვრული საშიში და განსაკუთრებით საშიში რეციდივის ცნება, რაც ამავე მუხლში 2007 წლის ივნისში შეტანილი ცვლილებით რატომღაც ამოღებული იქნა.

როგორც წესი, დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში, სს კოდექსით გათვალისწინებული საფუძვლით და დადგენილ ფარგლებში შეიძლება დაინიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი. სასურველი იყო კანონში ყოფილიყო საშიში და განსაკუთრებით საშიში რეციდივის ცნება, რაც სასამართლოს საშუალებას მისცემდა კონკრეტულად განესაზღვრა დამნაშავე პირის მიერ წინათ ჩადენილი განზრახი დანაშაულის რაოდენობა, სიმძიმე, რეციდივის სახე და საერთოდ დამნაშავის პიროვნება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს რეციდივის შემთხვევაში სასჯელის დანიშვნის დროს.

უკანასკნელ წლებში სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით ფაქტიურად ბრალდებულის სასარგებლო საშეღავათო გარემოებები თითქმის ამოღებული იქნა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლით დადგენილი იყო კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა. კერძოდ, თუ არსებობს განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოება, სასამართლოს დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით შეუძლია დანიშნოს სს კოდექსის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი.

2006 წლის აპრილში სს კოდექსში შეტანილი ცვლილებით ბრალდებულისათვის საშეღავათო ეს ნორმა რატომღაც საერთოდ გაუქმდა და ჩაიწერა, რომ სასამართლოს შეუძლია დანიშნოს სს კოდექსის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება. ე.ი. ამ ცვლილებით საშეღავათო სასჯელის დანიშვნა შესაძლებელია მხოლოდ საპროცესო შეთანხმების შემთხვევაში, მაშინ როცა ცვლილების შეტანამდე, როგორც ზემოთ აღინიშნა ამ მუხლის პირველი ვარიანტით კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა შესაძლებელი იყო აგრეთვე განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოებების და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებითაც, რისი საშუალებაც სს კოდექსის 55-ე მუხლის ამჟამად მოქმედი ნორმით აღარ არსებობს.

ვფიქრობთ, ასევე ნაჩქარევად, თან არასწორად იქნა შეტანილი ცვლილება სს კოდექსის 56-ე მუხლში, რომელიც აწესებს სასჯელის დანიშვნის წესს დაუმთავრებელი დანაშაულისათვის.

ამ მუხლის პირვანდელ ვარიანტში ცალკ-ცალკე იყო განსაზღვრული სასჯელის დანიშვნის წესი დანაშაულის მომზადებისა და მცდელობისათვის. კერძოდ, დანაშაულის მომზადებისათვის სასჯელის ვადა ან ზომა არ უნდა აღემატებოდეს დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სს კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმალური ვადის ან ზომის ნახევარს, ხოლო დანაშაულის მცდელობისათვის —სამ მეოთხედს. რატომღაც, 2006 წლის დეკემბერში სს კოდექსში შეტანილი ცვლილებით დაუმთავრებელი დანაშაულისათვის საჯელის დანიშვნის ეს წესი შეცვლილი იქნა.

მიგვაჩნია, რომ სს კოდექსის 55-ე და 56-ე მუხლებში მოხდეს სათანადო შესწორება პირვანდელი ვარიანტით დადგენილი ნორმის შესაბამისად.

ვფიქრობ, ცვლილება უნდა შევიდეს ასევე სს კოდექსის 42-ე მუხლში და სასჯელის სახით აიკრძალოს ჯარიმის გამოყენება, თუ ის არ არის დამატებით სასჯელად სისხლის სამართლის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში გათვალისწინებული.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია აგრეთვე გამასწორებელი სამუშაოს, როგორც სასჯელის სახის გაუქმება და მისი დროში გაწერილ ჯარიმად გარდაქმნა, რომელსაც ბრალდებული გადაიხდის გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

ზემოაღნიშნულ, ზოგიერთ საკანონმდებლო ცვლილებათა მოკლე ანალიზიც ცხადყოფს, რომ დადგა დრო გადავიდეთ ნორმალურ საკანონმდებლო საქმიანობაზე, საჭიროა გარკვეული ფორმით სისხლის სამართლის ზოგიერთი ნორმის ლიბერალიზაცია.

მოქმედი სს კოდექსის 336—ე მუხლით გათვალისიწნებული იყო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისათვის.

2007 წლის 4 ივლისს სს კოდექსში შეტანილი ცვლილებით ეს მუხლი საერთოდ ამოღებული იქნა.

როგორც სამოქალაქო საზოგადოებისათვის, ასევე სამეცნიერო სფეროს მუშაკებისა და რა თქმა უნდა ჩვენთვისაც საინტერესოა რას დაეყრდნო კანონმდებელი ამ გადაწყვეტილების მიღების დროს, რაზედაც იმ პერიოდში არაერთი წერილობითი თუ ზეპირი მოსაზრება და კრიტიკული პოზიცია იქნა გამოთქმული. ყველა მათგანი კითხულობდა ამ ცვლილების მიზეზს და სვამდა კითხვას იმის შესახებ, რომ ჩვენს სინამდვილეში უკანონო განაჩენი ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილება აღარ გამოდიოდა, საერთოდ აღიკვეთა, თუ რა ხდებოდა, რატომ განხორციელდა ასეთი ცვლილება და რატომ იქნა ამოღებული სს კოდექსიდან ეს მუხლი.

ფაქტიურად, ვისაც ის პერიოდი ახსოვს, როგორც იმ პერიოდში და მანამდეც, არაერთ უკანონო გადაწყვეტილებას იღებდა სასამართლოები, რის გამოც კონკრეტული დაზარალებული პირების, მათი ახლობლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო სექტორის და სხვათა მიერ როგორც ზეპირად, ისე მედიის საშუალებით ხშირად გამოითქმოდა პრეტენზიები, იყო გამოსვლები და პროტესტის სხვა ფორმები სასამართლოს მხრიდან ამგვარი უკანონო გადაწყვეტილების აღსაკვეთად. ამის დასტურად, თუნდაც უკანასკნელ წლებში გახმაურებული და საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი სისხლის სამართლის საქმეების გახსენებაც კმარა.

ფაქტიურად კანონმდებელმა არა თუ გამოიყენა სამართლებრივი ბერკეტები სასამართლოების მხრიდან დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილებების მიღების აღსაკვეთად, არამედ ამგვარი საკანონმდებლო ცვლილებით ერთგვარად წაახალისა ისინი და ამგვარი დანაშაულის ჩადენის გამო საერთოდ უარი თქვა მათ სისხლის სამართლის წესით დასჯაზე.

რა თქმა უნდა, მივესალმებით თუ სასამართლოებში საერთოდ არ ექნება ადგილი უკანონო გადაწყვეტილების მიღების არცერთ ფაქტს, მაგრამ ვფიქრობთ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ამგვარი ნორმის არსებობა მანამდეა საჭირო, სანამ სასამართლოების მიერ ამგვარი გადაწყვეტილების მიღების თუნდაც საშიშროება არსებობს.

აღნიშნული ნორმის გაუქმება კანონმდებლობაში არამართებულია, რადგან ეს ნორმა ყოველთვის იყო და იქნება ერთგვარი დაცვის მექანიზმი, რათა მოსამართლეთა მხრიდან ადგილი არ ჰქონდეს უკანონო გადაწყვეტილების მიღების ფაქტს.

ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მოხდეს შესაბამისი ცვლილება და ეს მუხლი კვლავ ამოქმედდეს სისხლის სამართლის კოდექსში.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ და საქართველოს პარლამენტმა დაიწყო ფართო საკანონმდებლო საქმიანობა, სვლა აგრესიული საკანონმდებლო დილეტანტიზმიდან ნორმალურ საკანონმდებლო საქმიანობისაკენ, რაც კონკრეტულად სამართლიან და ობიექტურ საკანონმდებლო ცვლილებებში აისახება.

ჩვენი აზრით, საჭიროა კანონმდებელმა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში თანდათანობით ცვლილებების შეტანის გზით უზრუნველყოს ამგვარი და სხვა ნორმების, რომლებზედაც აქ არ გვქონია მსჯელობა, გაუქმება, შეცვლა და მისი სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა“.

**გივი აბაშიძე**
**სამართლის დოქტორი**

# ეროვნული იდენტობის ფსიქოლოგიური პრობლემები

გლობალიზაცია კანონზომიერი პროცესია, რომელიც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ეკონომიკური ფაქტორებით, სახელდობრ, თავისუფალი ვაჭრობის კოალიციების უპირატესობებით პროტექციონიზმის კოალიციებთან შედარებით მსოფლიო მასშტაბით. ამავე დროს უდავოა, რომ თანამედროვე მსოფლიოში კონტაქტების გაძლიერებამ, ეკონომიკურმა კოოპერაციამ და უნიფიკაციამ განაპირობა კულტურათა დაახლოება. სავსებით სამართლიანი იქნება შენიშვნა, რომ კულტურათა დაახლოება და უნიფიკაცია ყოველთვის თან ახლდა ისტორიულ პროცესს და აქ არაფერია ახალი. მაგრამ სამწუხაროდ, ერთის მხრივ ჩვენ გვეუბნებიან, რომ წარმოქმნილია ,,გლობალური ადამიანური იმპერია", რომელსაც შეუძლია დაჩრდილოს ყველა წინა ცივილიზაცია და რომელსაც, შესაძლებელია ელის ტრაგიკული დასასრული, ხოლო, მეორე მხრივ გვაუწყებენ, რომ ,,ადამიანის გლობალური იმპერიის პირობებში" ზუსტად ეროვნული სუვერენიტეტი არის ამ გლობალური იმპერიის გადარჩენის ძირითადი დაბრკოლება. გასაგებია ამ იტალიელი ავტორის, ე. წ. რომაული კლუბის დამაარსებლის ასეთი პოზიცია. ფაქტია, რომ გლობალიზაციის პროცესში იტალიურ კულტურას, მის თავისთავადობას ბევრი არაფერი აკლდება, რადგან მას უკვე დიდი ხანია შემუშავებული აქვს სხვა კულტურებთან ურთიერთობაში ბრძოლის ძლიერი იმუნიტეტი.

იმ ქვეყნებში კი, სადაც სუვერენიტეტი შედარებით ახალი მონაპოვარია, სწრაფმა გლობალიზაციამ შეიძლება ეროვნული კულტურის შენარჩუნების თვალსაზრისით გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს, რადგან გლობალიზაციის ეკონომიკურ და კულტურულ ღირებულებათა ტალღაზე ჩამოყალიბებული ელიტა არც თუ იშვიათად ცდილობს ფორსირებულად ,,გაათანამედროვოს" ესა თუ ის ქვეყანა, რამაც შეიძლება, პირიქით, ქვეყნის უკუსვლა გამოიწვიოს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ეროვნული იდენტობის განმტკიცება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა იმ ქვეყნებში, რომლებმაც არც თუ დიდი ხნის წინ მოიპოვეს სუვერენიტეტი.

ოქსფორდის ლექსიკონი იდენტობას, როგორც აბსოლუტურ იგივეობას განმარტავს. ლევი-სტროსის მიხედვით ,,იდენტობა" განისაზღვრება როგორც ფაქტიური ობიექტის სახეობა, რომელსაც უნდა დავეყრდნოთ მოვლენების განსამარტავად. საუბრობენ აგრეთვე ე. წ. ნაციონალურ იდენტობაზე. ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში კი **იდენტობა** გაიგივებულია პიროვნების მიერ საკუთარი თავის განსაზღვრებისა თუ აღწერილობის შესაბამისად არსებულ ღირებულებებთან, რწმენებთან და იდეალებთან, რომლებიც ინდივიდუალური ქცევის წარმართვას განაპირობებენ. სოციალური ფსიქოლოგიის ე.წ. სოციალური იდენტობის თეორიის მიხედვით იდენტიფიკაცია ყველა ცოცხალი არსებისათვის დამახასიათებელი უნივერსალური პროცესია. ინდივიდები პოზიტიური შეფასების მიღებას ცდილობენ, რაც სოციალური ჯგუფებისადმი კუთვნილებაზე და მასთან დაკავშირებულ შეფასებებზე არის დამოკიდებული. იდენტიფიკაციის პროცესი ორ განზომილებას ეფუძნება. პირველი - სოციალური კლასიფიკაციის კოგნიტური განზომილებაა: ადამიანები ცდილობენ ჯგუფებში ალმოაჩინონ მსგავსება, რომელიც დაკავშირებულია მათ აქტივობასთან, მიდრეკილებასთან ან ქცევასთან. მეორე განზომილება - პოზიტიური შეფასების მიღების გრძნობებთან და სოციალურ კატეგორიისადმი კუთვნილებასთან არის დაკავშირებული. ე. ერიქსონის მიხედვით, იდენტობის განსაზღვრებაში გამოყოფენ სამ ელემენტს. პირველი: ადამიანი საკუთარ პიროვნებას მუდმივად საკუთარ თავთან გაიგივებულად უნდა აღიქვამდეს; მეორე: სხვა მნიშვნელოვანი ადამიანები აგრეთვე უნდა ხედავდნენ ინდივიდის საკუთარ თავთან გაიგივებულობასა და მთლიანობას. მესამე: ადამიანს უნდა ჰქონდეს დარწმუნებულობის განცდა, რომ მისი მთლიანობის შინაგანი და გარეგანი მხარეები შეთანხმებული არიან ერთმანეთთან.

ევროპული ტრადიცია არ ასხვავებს ეროვნული იდენტობის აღმნიშვნელ ტერმინს **„Nationality"** და მოქალაქეობას **"Nationality"** (თუმცა ევროპულ ენებში მოქალაქეობის აღსანიშნავად არსებობს მეორე სიტყვაც, კერძოდ, ინგლისურში "**Citizenship**"). ამ პრინციპით, მაგალითად, ფრანგი ნაციონალობის ადამიანი შეიძლება იყოს წარმოშობით „ფრანგი" ან „ალჟირელი". ზოგიერთ შემთხვევაში, მოქალაქეს პასპორტში უწერია „ნაციონალობა" ამერიკელი, ხოლო წარმოშობა იტალიელი. საბჭოთა კავშირში მოქალაქეს პასპორტში ეწერა „საბჭოთა კავშირის მოქალაქე", ხოლო ეროვნების გრაფაში „ქართველი".

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში პირველად გადმოღებული იყო საბჭოთა კავშირში არსებული პრაქტიკა და პასპორტში თუ პირადობის მოწმობაში იწერებოდა მოქალაქე, ეროვნება ქართველი (სომეხი, რუსი და ა.შ.). მოგვიანებით კი, პასპორტებში თუ მოწმობებში დატოვებულ იქნა მხოლოდ მოქალაქეობის აღმნიშვნელი ჩანაწერი "მოქალაქის პირადობის მოწმობა."

როგორც ქართული, ისე არაქართული წარმოშობის საქართველოს მოქალაქეებისათვის ასეთი ჩანაწერი მიუღებელია შემდეგი გარემოებების გამო:

ქართული წარმოშობის მოსახლეობას ასეთი ხასიათის ჩანაწერი ეროვნული იდენტობის სახელმწიფოებრივ დონეზე შეზღუდვად, ხოლო არაქართული მოსახლეობის ნაწილს კი, ეროვნულ დისკრიმინაციად შეუძლია მიიჩნიოს. ქართული წარმოშობის მოქალაქეებს ეროვნული იდენტობის დაკმაყოფილება არ შეუძლია პირადობის მოწმობის საშუალებით, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ იქ იქნება ჩაწერილი **ქართველი.** ასე რომ, პირადობის მოწმობის **„მოქალაქე"** არ იწვევს მასთან გაიგივებას და ამგვარად იქმნება ისეთი განცდა, რომ პიროვნების გასაიგივებელი ჩანაწერი — **„მოქალაქე",** ეროვნულობის თვალსაზრისით ცარიელი ადგილია და მასთან გაიგივება არ არის დაკავშირებული **ქართველობასთან** და სიტყვა **მოქალაქე** ინდიფერენტულია ტერმინ **საქართველოსთან** მიმართებაში.

ძნელია იმის გარკვევა, თუ რას ფიქრობდნენ პასპორტში თუ პირადობის მოწმობაში ასეთი ჩანაწერის ავტორები, მაგრამ შესაძლებელია, რომ მათი აზრით, თუ საქართველოს მოქალაქეებს მათი ეროვნული წარმოშობის მიუხედავად პირადობის მოწმობასა თუ პასპორტში ჩაეწერებოდათ მხოლოდ „მოქალაქე," მაშინ ქართული წარმოშობის მოქალაქეებს ეროვნული იდენტობის თვალსაზრისით პრობლემა არ შეექმნებოდათ, რადგან ისინი **ისედაც** "ქართველები" არიან, ხოლო არაქართული წარმოშობის მოქალაქეები კმაყოფილი იქნებოდნენ, რადგან ქართველებთან „ქართველობით" კი არ იქნებოდნენ **გათანაბრებულები**, რაც საქართველოს სახელმწიფოსთან ადაპტაციის მაჩვენებელი იქნებოდა, არამედ ნებისმიერი წარმოშობის ადამიანი **მოქალაქეობასთან** იქნებოდა გაიგივებული და ამით რეალურად იგნორირებული იქნებოდა **„ქართველობა,"** რაც სინამდვილეში საქართველოს სახელმწიფოებრიობის იგნორირების ტოლფასია. ასეთ შემთხვევაში საკუთარი თავის **„საქართველოსადმი" მიკუთვნება** და მასთან გაიგივება შეუძლებელია მხოლოდ პირადობის მოწმობასა თუ პასპორტში მითითებული გვარის, სახელის, დაბადების წლის, თვის, ადგილისა თუ რიცხვის მიხედვით. **„საქართველოსთან" ასოციაციების** დამყარება მსგავსების ასოციაციის მიხედვით უნდა მოხდეს, მაგრამ პასპორტში თუ პირადობის მოწმობაში არსად არ არის გამოყენებული ტერმინი **ქართველი (ეროვნება)** და არც ტერმინი **ქართული (მოქალაქეობა),** რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა სახელმწიფოს სახელწოდებასთან დაკავშირება და საკუთარი თავის მასთან გაიგივება. ასოციაციის დამყარების დროს აუცილებელია, რაღაც საერთო ნიშანი არსებობდეს ორ საგანსა თუ მოვლენას შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში **„საქართველოსთან"** ასოცირებულობა მხოლოდ ფორმალური, არაარსებითი, შემთხვევითი ხასიათის მატარებელი იქნება, რომელიც გამოწვეულია რაღაც პრაგმატული ანდა იძულებითი ფაქტორებით. ამიტომ ისეთ აუცილებელ ნიშნად, რომელიც საშუალებას მისცემს ნებისმიერი წარმოშობის მოქალაქეს გააიგივოს საკუთარი თავი საქართველოსთან, არის მხოლოდ და მხოლოდ **„ქართველის"** კონსტრუქტი. ამიტომ კი პასპორტში თუ პირადობის მოწმობაში აბსოლუტურად აუცილებელია ჩაიწეროს ქართული სახელმწიფოსათვის სახელწოდების მიმნიჭებელი ეროვნების დასახელება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითონ სახელმწიფოს სახელწოდების (საქართველო) დაკავშირებაც შეუძლებელი ხდება ქართული მოსახლეობის დასახელებასთან (ქართველები) და ქართველი პიროვნების დასახელებასთან (ქართველი), რადგან არც ერთი მათგანი (გარდა საქართველოსი) სხვაგან ოფიციალურად არ არის დაფიქსირებული. სახელმწიფო კი, ზუსტად ეროვნულობის ოფიციალური განხორციელებაა.

ქართული სახელმწიფოს სახელწოდება კი არის ლინგვისტურად დაკავშირებული „ქართველებთან" და „ქართველთან," მაგრამ ოფიციალურად, სახელმწიფოებრივად ასეთი დაკავშირებულობა არ არსებობს. საქართველო არა უბრალოდ საქართველოს **მოქალაქეთა** ერთობლიობაა, არამედ უპირველეს ყოვლისა, **ქართველთა** (ეროვნული წარმოშობის მიუხედავად) ერთობლიობაა ანუ ისეთ ადამიანთა ერთობლიობაა, რომლებიც არა მხოლოდ ქვეყნის მოქალაქეებათ აღიარებენ საკუთარ თავს, არამედ აგრეთვე სახელმწიფოს ქართველებისადმი კუთვნილ ქვეყანად აღიარებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სხელწოდება **საქართველო** უბრალოდ გეოგრაფიული სახელწოდებისა და არა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფუნქციის მატარებელი ხდება, ისევე, როგორც, მაგალითად, **კავკასია.** კავკასიასთან გასაიგივებლად საკმარისია ჩვენ საკუთარი თავი მივაკუთვნოთ **კავკასიელებს** და ამგვარად **კავკასიასთან** გაიგივებაც უზრუნველყოფილი იქნება. მაგრამ საქმე ისაა, რომ ასეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო არ არსებობს და ასეთი **იდენტობა** უბრალო კოლორიტულობის ფარგლებს არ სცილდება. დამოუკიდებელ სახელმწიფოში კი, არ შეიძლება იგნორირებული იქნეს რომელიმე კომპონენტი, რომელიც დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახელწოდების მიმცემ მოქალაქეს შეზღუდავს სახელმწიფოსთან სრულყოფილი იდენტობის დადგენაში. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის, რომ მოქალაქეს არ აქვს ქვეყნის სრულყოფილი მოქალაქის განცდა, არ მიაჩნია, რომ ეს სახელმწიფო მას ეკუთვნის, არ აქვს გათავისებული ეს სახელმწიფო, ის მისთვის უცხოა და ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ მას, როგორც უცხოს, ისე მოეპყრას ანუ არ იზრუნოს მასზე, არ დაიცვას ის და მიიჩნიოს, რომ სახელმწიფო არ აღიარებს მას როგორც სრულყოფილ მოქალაქეს და ამიტომ მასაც შეუძლია არ აღიაროს ასეთი სახელმწიფო როგორც **საკუთარი, ახლობელი.**

სიტყვა **მოქალაქე** ემოციურობას მოკლებული, ოფიციალური კონსტრუქტია, რომელიც ხელოვნურობის განცდას იწვევს და ამ ხელოვნურ კონსტრუქტთან გაიგივება ეროვნულობაზე უარის ტოლფას მდგომარეობაში ჩაყენებას ნიშნავს, რადგან სიტყვა **მოქალაქე** სიტყვა ნაციონალობასაგან **(„Nationality")** განსხვავებით ერთ და იმავე დროს არ ნიშნავს **მოქალაქეობასა** და **ეროვნულობას**, არამედ ის მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეს **(„Citizenship")** ნიშნავს და ამიტომ **ქართული წარმოშობის** ადამიანი აქ Uთუოდ ნაკლულობის გრძნობას განიცდის.

ამ შემთხვევაში ქართველ ადამიანს, როგორც სახელმწიფოსათვის სახელწოდების მიმნიჭებელი ეროვნების წარმომადგენელს ანუ ე. წ. სატიტულო ეროვნების წარმომადგენელს აიგივებენ ყველა სხვა ეროვნების ადამიანთან და არა პირიქით, როგორც ეს მიღებულია საერთაშორისო პრაქტიკაში, როდესაც სხვა ეროვნული წარმოშობის ადამიანები გაიგივდებიან ქვეყნისათვის სახელწოდების მიმნიჭებელ ეროვნებასთან. აქ კი გაიგივება ქვეყნის სახელწოდებას - **„საქართველოს"** კი არ უკავშირდება, არამედ **საქართველოს მოქალაქეს** უკავშირდება. ასეთი იდენტიფიცირება უთუოდ ერთი და იგივე არ არის, რადგან, ამ შემთხვევაში, ძირითადი აზრის მატარებელი სიტყვა **საქართველო** კი არ არის, არამედ **მოქალაქეობაა. მოქალაქეობა** შეიძლება იყოს დროებითი, მუდმივი, ორმაგი. ამ შემთხვევაში, ისევე, როგორც ნებისმიერი განსაზღვრება სიტყვა **საქართველოს** სიტყვა **მოქალაქეობის** მხოლოდ სპეციფიკის აღმნიშვნელია და არა **არსის.** ამრიგად, ვერბალური კონსტრუქტი **საქართველოს მოქალაქე** უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია მოქალაქეობასთან და მხოლოდ შემდეგ საქართველოსთან. ამ დროს კი საქართველოს მოქალაქე საკუთარ თავს საქართველოსთან უნდა აიგივებდეს, მაგრამ რადგან კონკრეტულ პიროვნებას შეუძლია საკუთარი თავი მხოლოდ მოქალაქესთან (თუნდაც საქართველოს) გააიგივოს, გამოდის, რომ **საქართველოსთან,** როგორც **ქვეყანასთან** გაიგივების შესაძლებლობა მას აღარ აქვს, იმ დროს, როდესაც **მოქალაქეობა** აუცილებლად გულისხმობს ქვეყანასთან იდენტიფიკაციისა ანუ გაიგივების შესაძლებლობას.

**საქართველო ქართული სახელმწიფოებრიობის სტრუქტურის უმაღლესი მწვერვალია,** ქართველობის ორგანიზაციული სისტემის სრულყოფილი განხორციელებულობაა. საქართველო ამჟამად ქართველთა ინტეგრირებული ცნებაა და ამიტომ საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს მისი ეროვნული წარმომავლობის მიუხედავად აქვს მოლოდინი, რომ ინდივიდუალურად ამ სახელმწიფოებრიობის განმასახიერებელ ზოგად და ყველა მოქალაქის მომცველ **საქართველოს** ცნებასთან იდენტიფიცირება შესაძლებელია არა უშუალოდ ცნება **საქართველოსთან** იდენტიფიკაციით, არამედ შუამავალი ცნება **ქართველის** გამოყენებით, რომელიც ინდივიდუალური გამოყენების კონსტრუქტია და მისი მეშვეობით ადამიანი ხდება საერთოდ **ქართველთა** წარმომადგენელი, რადგან საკუთარ თავს **მიაკუთვნებს** ქართველთა ერთობას ე. ი. აიგივებს საკუთარ თავს საერთოდ **ქართველებთან** და ამის შემდეგ **საქართველოსთან.** ასეთი გაიგივება შეიძლება მოხდეს სახელმწიფოს არსებობის გარეშეც ადამიანის ცნობიერებაში, როდესაც მისი შესაძლებლობები ოფიციალური აღიარებისა შეზღუდულია ანუ მას ოფიციალურად არ შეუძლია საკუთარი თავი მიაკუთვნოს ქართველთა ერთობას და ოფიციალურად საკუთარი თავი დამოუკიდებელი სახელმწიფოს, საქართველოს მოქალაქედ განიცადოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ადამიანს არ აქვს საშუალება ოფიციალურად საკუთარი თავი გააიგივოს დამოუკიდებელ საქართველოსთან, ის რჩება იმავე მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც იყო ის საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მიღწევამდე.

„საქართველოს **მოქალაქის"** კონსტრუქტი არ არის მხოლოდ ნაკლულობის გრძნობის გამომწვევი, რადგან ნაკლულობის გრძნობის დროს, ადამიანი რაღაც ოდენობით სრულყოფისა თუ სრულფასოვნების განცდას მაინც ფლობს. ამ შეთხვევაში კი **„ქართველისათვის"** პიროვნული ეროვნული იდენტიფიკაციისათვის "საქართველოს **მოქალაქის**" კონსტრუქტი საერთოდ მიუღებელია, რადგან პასპორტში თუ პირადობის მოწმობაში არ არის ნაჩვენები ოფიციალურად რა ეროვნების პიროვნების დამადასტურებელ მოწმობასთან გვაქვს საქმე.

ამგვარად, ქართული სახელმწიფოსათვის მისი სახელწოდების მიმნიჭებელი ადამიანისათვის მის პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში თუ პასპორტში ეროვნების აღმნიშვნელი ტერმინის **„ქართველის"** გამოტოვების გამო ამ საბუთში დარჩენილ ტერმინთან საქართველოს **„მოქალაქე"** გაიგივება-იდენტიფიკაცია შეუძლებელი ხდება. ის უცხო, მიუღებელ, ხელოვნურ, რეალობას მოკლებულ კონსტრუქტად აღიქმება, რომელსაც ქართულ ეროვნულ ცნობიერებასთან არავითარი კავშირი არა აქვს და ამიტომ საქართველოს მოქალაქის პასპორტში და პირადობის მოწმობაში აუცილებლად უნდა იქნეს შეტანილი ეროვნების აღმნიშვნელი სიტყვა **"ქართველი."**

ტერმინი **„ქართველი",** ისევე, როგორც შესაბამისი ტერმინი ფრანგულ თუ სხვა ევროპული ქვეყნის პირადობის მოწმობაში თუ პასპორტში ერთდროულად აღნიშნავს ყოფნასა და კუთვნილებას (მე ვარ ქართველი, ქართველი ისეთივე **ჩემი** ნიშანია, **ჩემი** თვისებაა, როგორც **ჩემი** სახელი ანუ ის მე მეკუთვნის) და ამავე დროს ტერმინი **„ქართველი"** ქართველთა ერთობლიობისადმი კუთვნილებას აღნიშნავს (ჩვენ ვართ ქართველები) და ამ კუთვნილების გაცნობიერებით ამ ერთობლიობის შემადგენლობაში ყოფნასაც აღნიშნავს.

**იდენტობა თანასწორობასთანაც** არის დაკავშირებული. საქართველოს მოქალაქის „ქართველთან" გაიგივებით დადასტურებული იქნებოდა არაქართული წარმოშობის ადამიანების თანასწორობა წარმოშობით ქართველებთან, ხოლო ამჟამად არსებული მდგომარეობა იგნორირებას უკეთებს სახელმწიფოსათვის სახელწოდების მიმნიჭებელი მოსახლეობის სახელწოდებას, რაც მხოლოდ და მხოლოდ დისკრიმინაციად შეიძლება იქნეს შეფასებული.

ამჟამად მდგომარეობა ისეთია, რომ არაქართული წარმოშობის მოსახლეობას საშუალება აქვს საქართველოს **მოქალაქესთან** იდენტიფიკაციით გვერდი აუაროს „ქართველთან" იდენტიფიცირებას, როგორც რეალურ, სრულყოფილ საქართველოს სახელმწიფოს პიროვნულ, ინდივიდუალურ განსახიერებას და ამ რეალური განსახიერების ნაცვლად ითვისებს, მიიკუთვნებს ქართული სახელმწიფოებრიობის ზედაპირულ, არაარსებით კონსტრუქტს, სუროგატს, რაც ბუნებრივია მას არ აძლევს სრულყოფილ მოქალაქეობასთან იდენტიფიკაციის საშუალებას მისი სურვილის მიუხედავად. აქ აშკარად სხვა ეროვნული წარმოშობის ადამიანის დისკრიმინაციასთან გვაქვს საქმე. ნებისმიერ ადამიანს მისი ეროვნული წარმოშობის მიუხედავად უფლება უნდა ჰქონდეს მოქალაქეობის სუროგატს კი არა, არამედ სრულყოფილ კონსტრუქტს დაეუფლოს. ასეთი რამ მხოლოდ იმ შემთხვევაში არის შესაძლებელი, თუ ნებისმიერი ეროვნული წარმომავლობის ქართველი მოქალაქის პასპორტში თუ პირადობის მოწმობაში ეროვნების აღსანიშნავად გამოყენებული იქნება ტერმინი **„ქართველი".** საქმე ისაა, რომ სახელმწიფოებრივი **ნაციონალური** იდენტობა აუცილებლად უნდა შეესატყვისებოდეს სახელმწიფოსათვის სახელწოდების **მიმცემი** ეროვნების სახელწოდებას და ამიტომ ქართული წარმოშობის ადამიანთა **ეთნიკური იდენტობის** მაჩვენებელი **ქართველი** აუცილებლად უნდა იყოს ასახული პირადობის მოწმობაში თუ პასპორტში. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია ვამტკიცოთ, რომ **საქართველო ქართველთა ქვეყანაა**. ამავე დროს ასეთი მტკიცებულება სულაც არ არის ქართველთა უპირატესობის აღმნიშვნელი. აქ უბრალოდ არსებული ფაქტის ოფიციალური დადასტურებაა ანუ განმარტებაა, თუ რა არის **საქართველო,** ისევე როგორც ანალოგიური გზით შეიძლება განმარტებული იქნეს, თუ რა არის საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი და ასე შემდეგ.

როდესაც სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტში სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი „სახელმწიფოს მოქალაქის" კონსტრუქტი, ეს გარემოება თვით ქართული წარმოშობის მოსახლეობაშიც იწვევს საქართველოს „მოქალაქის" კონსტრუქტის კანონზომიერ გაუფასურებას, კუთხური კუთვნილების წინ წამოწევას და ცნობიერებაში მის განმტკიცებას, რაც, რა თქმა უნდა, არასასურველ მდგომარეობად უნდა იქნეს შეფასებული.

შესაძლებელია დამკვიდრებული იქნეს ჩვეულებრივი ევროპული ტრადიცია, როდესაც ცალ-ცალკე არ იქნება გამოყენებული არც საქართველოს „მოქალაქე" და არც სიტყვა ეროვნება, არამედ გამოყენებული იქნება სიტყვა ნაციონალობა, რომელიც ევროპული **„Nატიონალიტყ"**-ს ტოლფასად უნდა მივიჩნიოთ და რომელიც ერთდროულად აღნიშნავს, როგორც მოქალაქეობას ისე ეროვნებასაც და მის გასწვრივ ჩაიწერება "ქართველი." იმ შემთხვევაში თუ წარმოშობით ქართველს ან სხვა ეროვნების წარმოშობის ადამიანს ექნება სურვილი, რომ პირადობის მოწმობაში თუ პასპორტში მითითებული იყოს მისი ეროვნული წარმოშობის შესახებ, მაშინ ასეთი შესაძლებლობა უნდა იყოს გათვალისწინებული (ამავე დროს უნდა იყოს განმარტებული, რომ ეროვნული წარმოშობის დაფიქსირება გარკვეულწილად შეიძლება დისკრიმინაციადD იქნეს შეფასებული). ასეთ შემთხვევაში პირადობის მოწმობა ან პასპორტი თვითონ გახდება სრულყოფილი დოკუმენტი და პიროვნული სისავსისა და სრულყოფილების საფუძველი.

სრულყოფილ სახელმწიფო კონსტიტუციური მოქალაქეობის სავარაუდო კონსტრუქტთან (ამ შემთხვევაში „ქართველი") ადაპტაცია (ეს ქართული წარმოშობის მოსახლეობასაც ეხება), ჩვეულებრივი და აუცილებელი პროცესია, რომელიც ზუსტად სახელმწიფოს მოქალაქეთა თანასწორობას, სრულფასოვნების განცდას, ღირსების გრძნობას, საკუთარი თავის სახელმწიფოს სრულყოფილი მოქალაქისა და საკუთარი თავის სრულყოფილ პიროვნებად გრძნობის უზრუნველყოფას განაპირობებს.

ეროვნული (ნაციონალური) იდენტობის სრულყოფილი ჩამოყალიბება სახელმწიფოს ფუნქციონირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია, რადგან იდენტობა დაკავშირებულია მორალურ ცხოვრებასთან, ალტრუიზმთან, რომელთა გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოსადმი უკიდურესი ეგოისტური, ვიწრო ჯგუფური თუ პარტიკულარისტული დამოკიდებულების დაძლევა.

შეიძლება დავასკვნათ, რომ **იდენტობა** არის საკუთარი არსებობის, თავისი „მე"-ს საკუთარი თავისადმი კუთვნილების, საკუთარი პიროვნების თავისუფალი გამგებლობის შესაძლებლობისა და სოციალურად თანასწორუფლებიანობის საფუძველზე გაერთიანებულ, მკვეთრად გამოცალკევებულ ადამიანთა მთლიანობის გაიგივებულობის ცნობიერი ფენომენოლოგიური კონსტრუქტი.

ეთნიკური თვითცნობიერების დონეზე იდენტობა ფენომენოლოგიურად რეალიზდება საკუთარი „მე"-ს ეროვნულობასთან გაიგივებულობაში, ხოლო სახელმწიფოს დონეზე ეროვნულობასთან ფენომენოლოგიური გაიგივებულობა ტრანსფორმირდება ოფიციალურად დადასტურებულ და ქვეყნის სუვერენიტეტით გამტკიცებულ საკუთარი „მე"-ს სისტემურ გაიგივებულობაში ეროვნულობასთან, მოქალაქეობასთან და სახელმწიფოსთან.

ასეთი იდენტიფიკაციის, როგორც იდენტობის მიღწევის უზრუნველყოფის პროცესის, სრულყოფილი რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ინდივიდუალობის (ეროვნება), სახელმწიფოებრიობისა (სახელმწიფოს სახელწოდება) და მოქალაქეობის (სახელმწიფოსადმი კუთვნილების ფიქსაცია) გაიგივებულობის ფაქტორებს აქვთ ერთი და იგივე ლინგვისტური საფუძველი.

ბოლო დროს, პრესაში გამოთქმულია აზრი, რომ საქართველოს მოქალაქის ეროვნება აუცილებლად უნდა ჩაიწეროს პასპორტში თუ პირადობის მოწმობაში მისი სურვილის შესაბამისად, რაც არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს.

**გურამ ჩაგანავა, პროფესორი**

# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი აკადემიური საბჭო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., 35
ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

## დადგენილება №84

2013 წლის 19 აგვისტო,
ქ. ბათუმი

**სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2012-2013 სასწავლო წლის კურსდამთავრებული, აკადემიური დავალიანების მქონე ზოგიერთი სტუდენტისათვის გამონაკლისის დაშვების შესახებ**

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის მე-12 პუნქტის, „ბსუ"-ს წესდების მე-8 და 66-ე მუხლების, „ბსუ"-ს ფაკულტეტების იმ სტუდენტთათვის „ბსუ"-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, რომელთა საგანმანათლებლო პროგრამის ვადა ამოიწურა 2012-2013 სასწავლო წლის ბოლოს და ვერ შეასრულეს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები ბსუ-ს რექტორის 2013 წლის აგვისტოს ბრძანებების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2012-2013 სასწავლო წლის კურსდამთავრებულ, აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტებს, რომლებიც ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ აქტის გამოსაცემად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მომართავენ ბსუ-ს სწავლის გაგრძელების მოთხოვნით, მიეცეთ შესაძლებლობა 2013-2014 სასწავლო წლის ბოლომდე აითვისონ დავალიანებული საგნები (კრედიტები);

2. ამ დადგენილებით განსაზღვრული კატეგორიის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა 2013-2014 სასწავლო წელს, დადგენილ ვადებში გაიარონ ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია. ამ რეგისტრაციის გაუვლელობის შემთხვევაში კი გამოცემული იქნეს ბრძანება მათთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ.

3. სტუდენტებს, რომელთა დავალიანებული კრედი-ე, შეუწყდეთ სტუდენტის სტატუსი, გამონაკლისის დაშვების გარეშე;

4. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ეთხოვოს ?სუ-ს სტუდენტთათვის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნათა შეუსრულებლობის გამო სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ რექტორის ბრძანებების შედეგად, წინამდებარე დადგენილების მოთხოვნების გათვალისწინებით, შესაბამისი აქტების გამოცემა;

5. ეს დადგენილება საჯარო გამოცხადების მიზნით განთავსდეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული შენობისა და ფაკულტეტების დეკანატების საინფორმაციო დაფებზე, ასევე გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და გაზეთში ბათუმის უნივერსიტეტი;

6. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,**
**რექტორი, პროფესორი**
**ალიოშა ბაკურიძე**

# წმიდა თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტთან მემორანდუმი გაფორმდება



თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტს შორის. ბსუ-ს რექტორთან, პროფესორ ალიოშა ბაკურიძესთან გამართულ შეხვედრაზე წმიდა თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა, არქიმანდრიტმა ადამ ახალაძემ თანამშრომლობის მიმართულებებზე ისაუბრა. მემორანდუმის ფარგლებში ამოქმედდება გაცვლითი პროგრამები, ჩატარდება ერთობლივი კონფერენციები, სიმპოზიუმები, სემინარები, ტრენინგები და შემოქმედებითი საღამოები. ხელშეკრულების თანახმად, გამოიცემა სახელმძღვანელოები, სამეცნიერო შრომები, კრებულები და მონოგრაფიები. მხარეთა შეთანხმებით, 10 ოქტომბერს ბათუმში გაიმართება ლიტერატურულ-მუსიკალური წარმოდგენა.

# მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ლაზიკა კაპიტალთან" მემორანდუმი გაფორმდა



უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ ირაკლი ბარამიძემ, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ედიშერ ჩავლეიშვილმა და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სს „ლაზიკა კაპიტალის" გენერალურმა დირექტორმა ბესიკ შენგელიამ თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. ხელშეკრულება ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის სტუდენტთა სასწავლო და პროფესიული პრაქტიკისა და სტაჟირების გავლას, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში პროფესიული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცებას. მემორანდუმი მიზნად ისახავს ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულთა დასაქმებას, უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის კომპანიის პროდუქციისა და მომსახურების მიწოდებას სპეციალური პირობებით.

# გერმანისტიკის მიმართულების დოქტორანტთა მეორე კონფერენცია გაიმართა



გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის - DAAD-ის მხარდაჭერითა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით გერმანისტიკის მიმართულების დოქტორანტთა მეორე კონფერენცია გაიმართა. სესიაზე საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტებმა სადოქტორო ნაშრომების პროექტები წარმოადგინეს და კვლევის მეთოდოლოგიასთან ერთად კვლევის პროცესში წამოჭრილი პრობლემების დაძლევის გზები განიხილეს. მომავალმა მკვლევრებმა ასევე ისაუბრეს დოქტორანტთა მხარდამჭერი საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების საგრანტო პროექტებზე. კონფერენციის მუშაობაში გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი ელიზაბეთ ფენორი და DAAD-ის პროფესორი თურქეთში (ათათურქის უნივერსიტეტი) ენრიკო ლიპმანი მონაწილეობდნენ.

# „ერაზმუს მუნდუსის" გაცვლით პროგრამაში მონაწილე ქართველ და უცხოელ სტუდენტებთან შეხვედრა გაიმართა



უნივერსიტეტში „ერაზმუს მუნდუსის" გაცვლითი პროგრამის მონაწილე პოლონელი სტუდენტების გაცილება და პროგრამა ELECTRA-ს გამარჯვებული კონკურსანტების წარდგინება მოეწყო. შეხვედრაზე სლავისტიკის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორმა სოფიკო თავართქილაძემ საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის ფარგლებში შვედეთის უნივერსიტეტში წარმოებული კვლევა ძიების შედეგები შეაჯამა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი „ერაზმუს მუნდუსის" ოთხი პროექტის: ALRAKIS-ის, WEBB-ის, ELECTRA-ს, EUROEAST-ის კონსორციუმის წევრია, რაც საშუალებას აძლევს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს სწავლის გასაგრძელებლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად ევროპის წამყვან უნივერსიტეტებს ეწვიონ. პარალელურად ბსუ მასპინძლობს პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლებს. ALRAKIS-ის პროგრამით 2012-2013 სასწავლო წელს უნივერსიტეტში სწავლას ექვსი ევროპელი სტუდენტი განაგრძობს. შეხვედრის დასასრულს პროექტის კოორდინატორმა ლელა თურმანიძემ პროგრამის მონაწილეებს „ბსუ-ს ერაზმუსელთა კლუბის" ჩამოყალიბების იდეა გააცნო.

# „ბათუმობა - 2013“ უნივერსიტეტში რამდენიმე ღონისძიებით აღინიშნა

„ბათუმობის“ დღესასწაულზე მოწვეული სტუმრები ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვივნენ და პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდნენ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მურმან დუმბაძემ, ქალაქ ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარემ ირაკლი ჩავლეიშვილმა, ქალაქ ბათუმის მერმა ჯემალ ანანიძემ, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ავთანდილ ბერიძემ, აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა გიორგი თავამიშვილმა, უცხოეთიდან მოწვეულმა სტუმრებმა უნივერსიტეტის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ისაუბრეს და ხაზი გაუსვეს ბათუმის განვითარებაში შეტანილ წვლილზე.





უნივერსიტეტის რექტორმა უცხოეთში მოღვაწე წარმატებულ ქართველ პროფესორებს ბსუ-ში „სტუმარი პროფესორის“ სტატუსით ლექციების ჩატარება შესთავაზა. ღონისძიების ფარგლებში ასევე გაიმართა “დედა ენის” უნიკალური გამოცემების პირველი გამოფენა. კერძო კოლექციონერმა ლევან თაქთაქიშვილმა უნივერსიტეტის ფოიეში სხვადასხვა პერიოდში გამოცემული 50-მდე წიგნი წარმოადგინა, მათ შორის, იაკობ გოგებაშვილის სიცოცხლეში დაბეჭდილი „დედა ენა”.

# ბათუმის საკრებულომ უნივერსიტეტის პროფესორებს დამსახურებული მოღვაწის წოდება მიანიჭა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებს: რეზო დიასამიძეს, ოთარ გოგოლიშვილსა და ემერიტუს-პროფესორ ბიჭიკო დიასამიძეს დღესასწაულის - „ბათუმობა - 2013“ - ფარგლებში დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭათ. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს გადაწყვეტილებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორ-მასწავლებლებმა საპატიო წოდება განათლებასა და მეცნიერებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მიიღეს. უნივერსიტეტის რექტორატი, აკადემიური პერსონალი და ადმინისტრაცია დამსახურებულ მოღვაწეებს ულოცავს წარმატებას.







# ბათუმი გუშინ და დღეს




ბათუმის ისტორია მრავალფეროვანია, მისი ისტორია მებადურების პატარა სოფლიდან იწყება, საიდანაც ჩამოყალიბდა იგი ქალაქად. დღეს ამ პატარა ქალაქს დიდი და საინტერესო მატიანე აქვს, როგორც ქალაქის, ასევე მის ნუსხაში შეტანილი უამრავი კულტურული მემკვიდრეობის მქონე ისტორიული ძეგლებისა. საინტერესოა ბათუმის არქიტექტურული სივრცე, რომლის განვითარებას მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ჩაეყარა საფუძველი, რაც უშუალოდ უკავშირდებოდა ნავსაყუდელის ბათუმის კონცხისკენ გადმონაცვლების პროცესს. მე-19 საუკუნის 70-იანი წლებისთვის ქალაქის საზღვრები ნური-გელის ტბის მიდამოებამდე აღწევდა.მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ქალაქის სწრაფი განვითარება დაიწყო. ამ დროისთვის, ფაქტობრივად, განსაზღვრული იყო ქალაქის დაგეგმარება და ქალაქმშენებლობის ძირითადი პარამეტრები. 1890-იანი წლების მონაცემებით ადმინისტრაციულად ბათუმი ოთხ პოლიციურ უბნად იყო დაყოფილი. აზიზიე, რომელიც მოიცავდა ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს, მსხვილი ვაჭრობის ცენტრი იყო. აზიზიეს აღმოსავლეთით მდებარეობდა ახმედიე, რომელიც ვიწრო და მრუდე შესახვევების მქონე განაშენიანებით ხასიათდებოდა. ამ უბანში მდებარეობდა სავაჭრო დაწესებულებები, თურქული ბაზარი, საწვრილმანო დუქნები, ყავახანები და სხვა.

მოსახლეობის ღარიბი ფენა ქალაქის ყველაზე დიდ უბანში, მუფთიეში ცხოვრობდა, სადაც ნავთობის ქარხნები იყო განლაგებული. აზიზიეს სამხრეთით მდებარე, ახალაღმოცენებული უბანი — ნური უფრო ევროპული სტილის დასახლება იყო. აქვე იყო ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები და მარინის ქალთა სასწავლებელი.

სანაპირო ზოლში მდებარეობდა ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტი — პორტი. შემთხვევითი არ იყო, რომ ბათუმში ყველა ქუჩა იწყებოდა ზღვიდან. ასეთი განაშენიანება ხელს უწყობდა ბათუმის მხატვრული იერსახის წარმოჩენასა და ქალაქის თავისუფლად გახსნას ზღვის სივრციდან.

ბათუმელი თეა ციცხვაია ისტორიკოს ანზორ ციცხვაიას ქალიშვილია. ის დღეს ჩვენს და მამის ქალაქს ასე იხსენებს: ?ამასგან მახსოვს ასეთი ნაამბობი: 1951 წლის სექტემბერში ბათუმის ყოფილ პიონერთა და მოსწავლეთა პარკის საზაფხულო თეატრში (მწვანე” თეატრს ეძახდნენ ადრე) ცნობილ პოეტს გიორგი ლეონიძეს საიუბილეო საღამოზე ქალაქის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები თბილი სიტყვებით მივესალმეთ, მისი ლექსებიც წავიკითხეთო. მადლობის გადახდისას დიდმა პოეტმა ასე მოგვმართა: ?ათუმს უნდა ერქვას თბილისი - ისეთი თბილი ხართ ბათუმელებიო”. მამას კი უპასუხია: დიახ თბილი ხალხი ცხოვრობს ჩვენს ქალაქში და ამით დღესაც ვამაყობო. დღევანდელი ჩემი ხედვა სხვა არის მამასაგან განსხვავებით (ცოტა გულისტკივილიცაა და დიდი სიყვარულიც), მაგრამ მე აქ დავიბადე და აქ გავიზარდე, ძალიან, ძალიან მიყვარს ჩემი ბათუმი, ურომლისოდაც შემიძლია 10 დღე გავძლო, მეტი ვერა...როცა ვბრუნდები ქალაქში და ცხვირში “შემილიტინებს” ზღვისა და ყავის სუნი (განსაკუთრებით დილით ადრე), - აი მაშინ ვგრძნობ როგორ მომნატრებია ჩემი პატარა ?უსკუსა” ქალაქი, კითხვა, დღესასწაულების მილოცვა, განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობა იციან, რაც ყველაზე მთავარია. ბევრი ვიცი ვინც საკუთარი ქალაქის მომავალზე ფიქრობს. მე ოჯახთან ერთად ბათუმში მაშინ ვისვენებდი, როცა ბათუმელები ბათუმობას აღნიშნავდნენ და დიდი სიამოვნებით მივიღე მონაწილეობა იმ ღონისძიებებში, რომლებიც ამ დროს გაიმართა, მაგრამ განსაკუთრებულად მომწონს კოლხობის დღესასწაული, რომელიც მუდმივად სარფის სანაპიროზე ტარდება, თეატრალიზებული შოუ ტრადიციული ტანისამოსით, ლექსებით და ცნობილი და კარგი ბათუმელებით.

ბათუმის ერთგვარ სავიზიტო ბარათს ბულვარი და კოლონადები წარმოადგენს. ბულვარის მშენებლობის იდეა ბათუმის ოლქის გუბერნატორს ა.ი. სმეკალოვს ეკუთვნის. ბათუმის პოლიცმეისტერის ვოზნესენკის გადაწყვეტილებით, ბულვარის მშენებლობა პრუსიელ მებაღეებს: რესლერსა და რეიერს დაევალათ. 1884 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა რესლერი, ხოლო ბათუმის ბულვარის დაგეგმილი მშენებლობის გაგრძელება საქართველოში 5 წლით მოწვეულ მიხეილ დალფონსს დაევალა, რომელიც ისტორიულ წყაროებში მოხსენებულია, როგორც ბათუმის სანაპიროს კეთილი გენია”. 1934 წ. იტალიიდან სპეციალურად ბათუმის ზღვისპირა პარკისთვის ჩამოიტანეს ანტიკური ხანის სკულპტურების ასლი და ანტიკური სტილის კოლონადების პროექტის 2 კომპლექტი. მშენებლობას ხელმძღვანელობდა ადგილობრივი არქიტექტორი ბოგდან კირაკოსიანი. თავდაპირველად კოლონადები ზღვის კარიბჭის როლს ასრულებდა, რადგან სწორედ მასთან იწყებოდა ზღვის ნაპირი, თუმცა დროთა განმავლობაში სანაპირო ზოლი უკან გადავიდა.




ბათუმი არის ქალაქი, რომელსაც ალამაზებს ბათუმური შენობები, ძეგლები, ადამიანები, რომლებმაც შექმნეს ან ქმნიან ბათუმის ისტორიას. ერთ-ერთ ასეთ ადგილს წარმოადგენს მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი. აღნიშნულ პარკში ბათუმისთვის დამახასიათებელი რამდენიმე დეკორატიული ქანდაკება იდგა. სწორედ ასეთი იყო ბათუმელი ხელოვანის, ოთარ დარჩიას, არლეკინი. შეიძლება ითქვას, რომ ეს ქანდაკება ბათუმის სავიზიტო ბარათი იყო.იშვიათია ოჯახი, სადაც რომელიმე წევრს მაინც არ ჰქონდეს არლეკინთან ერთი ფოტო გადაღებული. როგორც ბატონმა ოთარმა მითხრა, არლეკინის შექმნისას მას ერთი სურვილი ამოძრავებდა. მინდა ყველა ადამიანს, პატარას თუ დიდს, განუსაზღვრელად ასაკისა, სიხარული მივანიჭო .ვფიქრობ, რომ ამ ქანდაკებით მოქანდაკემ მიზანს მიაღწიაა.

სადაც ვეძებ ნაცნობ-მეგობრებს, მახსენდება ძველი - მყუდრო, თბილი, მოსიყვარულე ბათუმი, მაგრამ თითქოს ცივი... ეს სიცივე კი შემივსო ბათუმობის დღესასწაულმა, სადაც უამრავი ბათუმელი ვიხილე. ბათუმელობა არაა მარტო ის, რომ ცხოვრობდე ბათუმში, ბათუმელობა უფრო მეტია.

ჟურნალისტი გოდერძი შარაშია, რომელიც ბათუმის ხშირი სტუმარია, ბათუმს ასე ახასიათებს: ?ათუმი და ზოგადად აჭარა მართლაც განსახვავებულია ყველაფრით, ყველა ალბათ პირველ რიგში იტყოდა ზღვით, მაგრამ მე ვფიქრობ ხალხია განსხვავებული და ამაში ზღვის მომენტიც არის: ბუნებრივია, თბილი ხალხია და ძალიან მოწონთ მასპინძლის როლში ყოფნა, მიხარია რომ ბევრი ბათუმელი მეგობარი მყავს. მათ არასდროს ავიწყდებათ მოკითხვა...

კოლონადები დღესაც ბათუმის სავიზიტო ბარათია და სიმბოლურია იცის, რომ ფოტოს ბათუმელები 2013 გადასაღებად ბათუმელები ბათუმობაზე კოლონადებთან შეიკრიბნენ.

**ნანა ვერულაშვილი**

რედაქტორი:
იოსებ სანიკიძე

სპეციალისტი:
ნესტან მამუჭაძე



სარედაქციო კოლეგია:
ნანა მეცხლაძე
ინგა შამილიშვილი
ნათია ნიკოლაიშვილი
ნინო დოლიძე
მურმან გორგოშაძე
დავით ბარათაშვილი
გურამ ჩაგანავა
შოთა მამულაძე
ეკა აბრამიშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა
„სამშობლოში“
2 18 07 76; 5 99 95 31 90
მის.: ქ. თბილისი,
რობაქიძის 7